სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარი ამირანაშვილი

თბილისელი ბიჭის ტიპი და თბილისური კოლორიტი აკა მორჩილაძის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარინე ცერცვაძე

პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

ნაშრომში ,,თბილისელი ბიჭის ტიპი და თბილისური კოლორიტი“ განხილულია მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - აკა მორჩილაძის(გიორგი ახვლედიანის) ოთხი რომანი, რომლებშიც ნათლად იკვეთება XIX-XX საუკუნის ქალაქური კოლორიტი და ტიპაჟი.

ქართულ ლიტერატურაში პოსტმოდერნისტული განწყობით, მისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, რამდენიმე მწერლის შემოქმედებას გამოყოფენ. მათ შორისაა აკა მორჩილაძეც.

კვლევის საგანს წარმოადგენს რომანების ფონზე გაშლილი თბილისური კოლორიტი და თბილისელი ბიჭი. მანამდე ქართულ ლიტერატურაში არავის წაეკითხა ასეთი მინიშნებებით სავსე წიგნები და არც ამ კუთხით არავის უკვლევია აკა მორჩილაძის შემოქმედება. მუშაობის პროცესში სწორედ ეს წარმოადგენდა კვლევის სირთულეს.

კვლევის მიზანია ახალი თემით მკითხველის დაინტერესება. აკა მორჩილაძის არაერთ ნაწარმოებში იჩენს თავს ჩვენთვის საინტერესო მასალა, ნაშრომში ძირითადად ოთხ რომანს ვეხებით, თუმცა თემის სრულყოფისთვის დავიხმართ სხვა ნაწარმოებებსაც.

ნაშრომის მიზანია დავინახოთ თბილისელი ბიჭები, რომელთა ფონზეც იქმნება თბილისური კოლორიტი, როგორ ცდილობენ ისინი გაექცნენ რეალობას, როგორია მათი ყოველდღიურობა, რა ასაზრდოებს ამ ბიჭების ყოფას. ნაშრომში განვიხილავთ არატიპიურ ქალაქელებსაც.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან; პირველი თავი ეხება „მადათოვის“ ტრილოგიას, მეორე- ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებს“ და „მოგზაურობას ყარაბაღში“, ხოლო მესამე - “Obole”-ს.

Annotation

Thepaper “Typeof a boyfrom Tbilisi and honored person of Tbilisi” discusses four novels byone of the most prominent representatives of the currentliterary process – Aka Morchiladze (GiorgiAkhvlediani), in which the urban honoredd wellerand type of the XIX-XX centuries are clearly visible.

In Georgian literature, by the post-modernist spirit and with its characteristic elements, the works of several writers aredistinguished. Aka Morchiladze is included.

The subject of research is the honored dwellers of Tbilisi and the boy from Tbilisi expanded on the background of novels. Before that, no one in Georgian literature had read books full of such references, and no one has studied Aka Morchiladze’s work in this regard.This was the difficulty of the research in the work process.

The aim of the research is to interest the reader with a new topic. not one of Aka Morchiladze’sworks contain interesting material,we mainly touch on four novels in the work, but we will use other works to perfect the theme.

The aim of the paper is to see the boys from Tbilisi,and on that background honored dwellers of Tbilisi are created, how they try to escape reality, what their daily routine is like,what nourishes the existence of these guys.In the paper we also discuss atypical townspeople.

The paper consists of three chapters: The first chapter deals with the “Madatov” trilogy, the second – “Paliashvili Street Dogs” and “Travel to Karabakh” and the third one deals with the “Obole”.

სარჩევი

შესავალი.....

თავი I

მადათოვის ტრილოგია

&1.1 გადაფრენა მადათოვზე და უკან.....10

&1.2 გაქრები მადათოვზე 20

&1.3 ვეშაპი მადათოვზე 24

თავი II

90-იანი წლების თბილისელი ბიჭის სახე

&2.1 ფალიაშვილი ქუჩის ძაღლები 29

& 2.2. მოგზაურობა ყარაბაღში 36

თავი III

Obole

&3.1.ირაკლი-მურების შთამომავალი.....46

&3.2. ობოლე- მადონა-საქართველო 48

დასკვნა 56

ბიბლიოგრაფია 58

შესავალი

პრობლემის აქტუალობა - XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მსოფლიოში იწყება სახელოვნებო პოსტმოდერნიზმი, ამავე დროს,თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში ჩნდება ქართული პოსტმოდერნიზმი და მნიშვნელოვან ადგილსაც იკავებს. მიაჩნიათ, რომ ქართული პოსტმოდერნიზმი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და მისი ესთეტიკის შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებების კვლევა მრავალ საინტერესო ფაქტს გამოავლენს ტიპოლოგიური თუ პრობლემების ორიგინალური ესთეტიკის აღქმის კუთხითაც.

სწორედ ამ განწყობილებებით გამოირჩევა აკა მორჩილაძის რომანები, რომელთა პოპულარობა და აქტუალობაკონკრეტული მწერლის დამსახურებაა.

სამაგისტრო ნაშრომის საგანი, მიზანი და ამოცანები - კვლევის საგანს წარმოადგენს ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი საკითხის - აკა მორჩილაძის რომანების ტიპოლოგიური აღქმა, თბილისური კოლორიტის ასახვის მწერლისეული ხერხი.

ნაშრომის მიზანია ამ კუთხით მკითხველის დაინტერესება, არის მცდელობა მკითხველს ვუჩვენოთ მხატვრული ხერხები, რომლებიც დამახასიათებელია აკა მორჩილაძის შემოქმედებისთვის და რომელთაც ის იყენებს ნაწარმოების შექმნისას, პერსონაჟების დახასიათებისას; მაგალითად, ხასიათის ორმხრივობა, ქალი პერსონაჟების სიმწირე, დამოკიდებულება რელიგიისადმი და სხვა.

აკა მორჩილაძე მეტად პროდუქტიული მწერალია, ის ბევრს წერს და, ბუნებრივია, ჩვენი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა ყველა საკითხზე გაგვეცა ამომწურავი პასუხი, თუმცა შევეცადეთ განსახილველი რომანების ფარგლებში ეს საკითხი სრულყოფილად წარმოგვედგინა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - აკა მორჩილაძის შემოქმედება შემდგომ მეცნიერულ კვლევას ელოდება. არის კრიტიკული წერილები, ინტერვიუები, სტატიები,

თუმცა ამ კუთხით - გამოყონ თბილისელი ბიჭის ტიპი და თბილისური კოლორიტი, კვლევა არ წარმართულა. ნაშრომი არის ცდა, ერთ ჩარჩოში მოაქციოს ის პერსონაჟები, რომლებიც ჩვენს მიერ განსახილველ რომანებშია მოცემული და შექმნასტიპი - თბილისელი ბიჭისა, ამ ფონზე კი იკვეთება ქალაქური კოლორიტიც, რომელსაც სწორედ ეს ბიჭები ქმნიან.

ჩვენ გამოვიყენეთ კრიტიკოსთა შეხედულებებიც და მათი განხილვის ფონზე ჩამოვაყალიბეთ საკუთარი აზრი ამ საკითხის შესახებ. ნაწარმოებებში იკვეთება პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ნიშნები, გამორჩეული სტილი და ნოვატორული მიდგომა. ავტორის შემოქმედება კვლავ გრძელდება, შესაბამისად, დასკვნების გაკეთება მომავლის საქმეა.

კვლევის წყაროები - კვლევის წყაროებად, ძირითადად, გამოვიყენეთ აკა მორჩილაძის რომანები, ასევე დათო ტურაშვილის, მალხაზ ხარბედიას, ლალი ავალიანის, ანუკი იმნაიშვილის, ლევან ბერძენიშვილის, ბელა წიფურიას კვლევები და კრიტიკული წერილები, ავტორის ინტერვიუები და რადიოგადაცემები.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება - ნაშრომი საინტერესო იქნება აკა მორჩილაძის შემოქმედების მკვლევართათვის, სტუდენტებისათვის, ლიტერატურის საკითხებითა და კულტურის კვლევებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

კვლევის თეორიული საფუძვლები - არსებობს რამდენიმე თეორიული მოდელი, რომლებიც აკა მორჩილაძის რომანების კვლევისას შეიძლება გამოვიყენოთ. ჩვენი ნაშრომიც რამდენიმე ასეთ თეორიულ საფუძველს ემყარება.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ მოვლენათა შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა არის თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემა. ამ კვლევის დროს ჩვენ გავიზიარეთ მკვლევართა აზრი, რომ ტიპოლოგიური კვლევა მხოლოდ ,,თანხვედრათა“ დაძებნას როდი გულისხმობს, არამედ აღსანიშნავია განსხვავებულობა, მათი შედარებისას უფრო მკაფიოდ წარმოჩინდა აღნიშნული ტიპების ინდივიდუალიზმი და რადგანაც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა თანამედროვე ფილოლოგიის წამყვანი დარგია, ჩვენ მივმართეთ

კომპარატივისტულთემატოლოგიას; ჩვენი მიდგომა გამართლებულია აკა მორჩილაძის შემოქმედების სირთულის გათვალისწინებით.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი - ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. შესავალში გამოკვეთილია პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის თითოეული თავი მოიცავს რომანების კვლევას და არის ცდა, გამოიკვეთოს ქალაქელი ბიჭი და მის გარშემო შექმნილი თბილისური კოლორიტი.

XX საუკუნე საქართველოს ისტორიაში რამდენიმე რთულ და პრობლემურ სოციო-პოლიტიკურ საფეხურს აერთიანებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია XX საუკუნის 80-90-იანი წლების მოვლენები - უკვე დანგრეულ საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, შიდა დაპირისპირებები, გამწვავებული ურთიერთობები აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან.

თბილისი, როგორც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი, ყოველთვის იყო ტონის მიმცემი, განსაკუთრებული ნიშნების მატარებელი, მისი კოლორიტი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. თბილისს უძღვნიდნენ ლექსებს, ნახატებს- სხვადასხვა ფორმით იგი მუდამ გვხვდება ხელოვნებაში. დედაქალაქი იყო და რჩება მთელი ქვეყნისათვის გამორჩეულ ადგილად, იგი დღესაც ატარებს ორიგინალურ „მხოლოდ თბილისურ“ ნიშნებს.

ბუნებრივია, პოლიტიკურ სისტემათა რღვევა, ომები, უდიდეს გავლენას ახდენდა ლიტერატურაზეც. იწყება მოდერნისტულ ღირებულებათა გადაფასება და ქართულ მწერლობაში შემოდის პოსტმოდერნიზმი.

აკა მორჩილაძე სწორედ ამ ეპოქის შვილია და იგი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდაქვეყანაში, თუ მის გარეთ, შექმნილ ვითარებას.

სანამ უშუალოდ მსჯელობაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რა არის ტიპი, გმირი და ხასიათი. „თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობით ლექსიკონებში არსებობს ორი აზრობრივად დაპირისპირებული ტენდენცია, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად არსებობენ და, ხშირად, მათ იყენებენ სინონიმური მნიშვნელობით. საერთოდ, კი, მასში მოიაზრება „ადამიანის სახე

ლიტრატურაში“[ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, 2012;113]. მათ შორის მხოლოდ მაშინ იწყება განსხვავების ძებნა, როდესაც ხდება გმირის, ხასიათის და ტიპის მიმართების გარკვევა „პერსონაჟის“ ცნებასთან.

ამ სამიდან თითოეულ ტერმინს აქვს თავისი განმარტება, მათგან მხოლოდ ხასიათი უპირისპირდება ტიპს, რადგანაც ხასიათიარის „ინდივიდუალიზირებული პერსონაჟი“, მის მოქმედებას და ამის გამომწვევ მიზეზებს ავტორი გვიხსნის; ტიპი კი „არაინდივიდუალიზირებული“, განზოგადებული პერსონაჟია, უმეტეს შემთხვევაში ის მოქმედებს მოტივირების გარეშე.

ლიტერატურულ ნაწარმოებში გმირის, პერსონაჟის, ხასიათისა და ტიპის განსაზღვრისას, აუცილებელია, რომ მხედველობაში მივიღოთ ავტორის მიერ ჩაფიქრებული სახეების როლი და ფუნქცია სიუჟეტის განვითარებაში.

ნაშრომის მიზანია დაადგინოს თბილისელი ბიჭის ტიპი აკა მორჩილაძის შემოქმედებაში, განიხილოს მათი სახეები და დაგვანახოს როგორ იქმნება კოლორიტი, სწორედ ამ ბიჭების დახმარებით.

თუ „ტიპი“ არის რომელიმე სოციალური მოვლენის განზოგადება, რათა შექმნას „სამყაროს ერთიანი სურათი“, ჩვენ შემთხვევაში, თბილისელი ტიპი ქმნის თბილისური კოლორიტის, სინამდვილის განზოგადებულ სახეს და არა მის ასლს. ტიპები მრავალფეროვანნი არიან, ჩვენი კვლევის ფარგლებში საქმე გვექნება სოციალურ-ისტორიულ ტიპთან, რომელიც, სახელიდან გამომდინარე, ეპოქის მიერაა შექმნილი.

ლიტერატურის თეორიაში, ასევე, არსებობს „პროტოტიპი“, როდესაც მწერალი, მხატვრული სახის შექმნისას, იყენებს რომელიმე რეალურ პიროვნებას, მაგრამ ეს საკითხი სცილდება ნაშრომის ფარგლებს.

ტიპი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ხასიათის სპეციფიკური მოდელი“- ამ კრიტერიუმით მივუდგებით აკა მორჩილაძის რომანებსაც. „ავტორი ყოველდღიურობაში ეძებს „ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას“. ამით ტიპი იტვირთება განსაკუთრებული და ხანგრძლივი აქტუალობით“[ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, 2012;113].

შრომაში მოქმედების სუბიექტს მოვიხსენიებთ ხან პერსონაჟად და ხან ტიპად, რადგან, როგორც ლიტერატურის თეორიის საფუძვლებშია მოცემული, „სიტყვა „პერსონაჟი“ აღნიშნავს მსახიობს, რომელიც ნიღბით ასრულებს როლს, ამდენად იგი გამოხატავს გარკვეული ხასიათის ტიპს, ე.ი. მოქმედ პირს“[გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011;132].

კვლევაში ყურადღებას ვამახვილებთ ოთხ რომანზე. შეგვიძლია ისინი არა მხოლოდ ერთი თემის გარშემო გავამთლიანოთ, არამედ ცალკე ვიმსჯელოთ „მადათოვის ტრილოგიაზე“, როგორც გამორჩეულ პოსტმოდერნისტულ რომანზე, სადაც XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის თბილისური ტიპაჟია წარმოდგენილი; „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „მოგზაურობა ყარაბაღში“ გამოვყოთ, როგორც ერთი თემის, XX საუკუნის 90-იანი წლების გამომხატველი რომანები, ხოლო Obole”, როგორც ლევან ბერძენიშვილი შენიშნავს, წარმოვიდგინოთ “ვარჯიშობად ქართველობაში”, სადაც ირაკლი განსხვავებული, „სოფლიდან ჩამოსული თბილისელი“ ტიპია, რომელიც დროებით ბრუნდება სოფელში და სიუჟეტი იშლება იქ განვითარებული პერიპეტიების ფონზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც თუ ისე ბევრი მეცნიერი იკვლევს აკა მორჩილაძის შემოქმედებას და მისი რომანები ჯერ კიდევ ელის ღრმა მეცნიერულ შესწავლას. თუმცა, ვინც უკვე გასცნობია მწერლის შემოქმედებას, ყველა ცალსახად შენიშნავს მისი განსხვავებული წერის მანერას, გამორჩეულ სიუჟეტებს და თავად აკა მორჩილაძის ,,წრეგადასულ ნიჭიერებას“.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ განხილული რომანები განსაკუთრებულად გამოხატავენ თბილისელი ბიჭის ტიპს და, მიუხედავად ერთი შეხედვით მათი მსგავსებისა, რომანის სიღრმეებში ვრწმუნდებით - აკა მორჩილაძე ინდივიდუალურ ტიპებსაც ქმნის. ეს ყოველივე ავტორის ნიჭიერებაზე მეტყველებს, იგი ახერხებს ტიპების შექმნასთან ერთად შემოგვთავაზოს ინდივიდუალური შტრიხები, განზოგადებულში კერძო გვაპოვნინოს.

I თავიმადათოვის ტრილოგია

&1.1,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“

პოსტმოდნიზმმა, როგორც მხატვრულმა ეპოქამ, გააერთიანა XX საუკუნის სხვადასხვა არარეალისტური მხატვრული მიმდინარეობა. მოდერნიზმმა, როგორც ვიცით, უარყო ტრადიციული ლიტერატურული გზები, მაგრამ საუკუნის ბოლოსთვის უკვე თვითონაც ტრადიციულ ფორმად იქცა. პოსტმოდერნიზმი კი მოდერნიზმის უარყოფაა და მხატვრული განვითარების ახალ მიჯნას წარმოადგენს.

ქართულლიტერატურაში პოსტმოდერნისტული განწყობით, მისი დამახასიათებელი ელემენტებით, რამდენიმე მწერლის გამოყოფა შეგვიძლია. მათ შორისაა აკა მორჩილაძეც. ქართული პოსტმოდერნიზმი ბოლომდე შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. ის,როგორცსხვა ნებისმიერი ლიტერატურული მიმართულება თუ მიმდინარეობა, არ შეიძლება შეფასდეს როგორც ,,ცუდი“ ან ,,კარგი“ მოვლენა. კონკრეტული ლიტერატურული პროდუქტის დონე განისაზღვრება მწერლის ტალანტით და არა პოსტმოდერნისტული ესთეტიკით.

აკა მორჩილაძის პროზა ,,პოსტმოდერნისტული ილეთებით“,წარსულის ცნობილი სიუჟეტებისა და პერსონაჟების პაროდირება-ინტერპრეტაციებითაა შესრულებული.იგი ალუზიების ,,მომხმარებელი“ მწერალია,ან, როგორც მასზე ითქვა: ,,აკა მორჩილაძე ფანტაზმების მწერალია“[ზედანია, 2004;3-4].

აკა მორჩილაძე პოსტმოდერნიზმის უმთავრესი პრინციპის - ,,ორმაგი კოდირების“ საუკეთესო მაგალითად იქცა - „თავად მწერლის პიროვნება, მასში გაერთიანებულია ავტორი, მთხზველი, მოკალმე აკა მორჩილაძე და ისტორიკოსი, ლექტორი, სპორტის მიმომხილველი ჟურნალისტი გიო ახვლედიანი“[იმნაიშვილი, XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები].

აკა მორჩილაძის „მადათოვის ციკლის“მახასიათებელია ისტორიზმის პრინციპი. ავტორი საუკუნეების წინ მომხდარ, გამოგონილ და რეალურ, ამბებს განსხვავებული რაკურსით გვიჩვენებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითონ ავტორი ისტორიკოსია,

თანაც მწერალი ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ ფაქტების მშრალი ასახვითა და ქრონოლოგიით კი არ არის დაინტერესებული, არამედ ისტორიის გამოყენებით გვიხატავს ეპოქას, მის სულს, პერსონაჟებისმთელი სპექტრით.

ციკლი სამ წიგნს აერთიანებს: ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“, ,,გაქრები მადათოვზე“ და ,,ვეშაპი მადათოვზე“. მიაჩნიათ, რომ აკა მორჩილაძე, როგორც მწერალი, რამდენიმე არსებობს: ერთი - ,,მოგზაურობა ყარაბაღში“ და ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ ავტორი, მეორე კი ცნობილი ტრილოგიისა, სადაც სამი რომანია გაერთიანებული. მალხაზ ხარბედიაკი შენიშნავს: ,,ეს დაყოფა ძალზე პირობითია, რადგან ასევე შეიძლებოდა გვესაუბრა მესამე აკა მორჩილაძეზეც, მეოთხეზე“[ხარბედია, მადათოვის ტრილოგია ერთ წიგნად].

ჩვენკრიტიკოსების შეფასებებისწორადმიგვაჩნია, რადგან განსახილველ რომანებში- (,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და ,,გასეირნება ყარაბაღში“)-XX საუკუნის დასასრულის თბილისელი პერსონაჟები მეტად რეალურნი და სახიერნი არიან. რის შედეგადაც იკვეთება „თბილისელი ბიჭის ტიპაჟი“, და თუმცა მადათოვის ციკლიXIXსაუკუნის ტფილისს ეხება, ლიტერატურული ფორმით იგი მეტად თამამია და იმავე ლიტერატურულ ტიპაჟს იმეორებს.

რადგანაც „პოსტმოდერნიზმი კულტურული ეპოქების ჯაჭვის ერთ-ერთი შემაერთებელი რგოლია, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდება სხვადასხვა ლიტერატურული ეპოქა“ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011; 259]. და რომანს კი კრიტიკოსები პოსტმოდერნისტულად მიიჩნევენ, ყველაფერი ის, რაც რომანში ხდება, კარგად ერგება მასში ასახულ ერთიან ლიტერატურულ სივრცე.

სხვა რაკურსით განიხილავს ამ საკითხს უმბერტო ეკო, იგიმიიჩნევს: ,,პოსტმოდერნიზმი არ არის ქრონოლოგიური ჩარჩოებით მკვეთრად შემოსაზღვრული მოვლენა. იგი არის გარკვეული სულიერი მდგომარეობა და ამიტომ ყველა ეპოქას თავისი პოსტმოდერნიზმი აქვს“ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011; 259-260]. უმბერტო ეკოს აზრით, პოსტმოდერნისტული განწყობილებების ძებნა ბევრმა ავტორმა ძველი ტექსტების ახლებურად წარმოჩენაში სცადა. მაგალითად, ჯეიმს ჯოისმა ნაწარმოებში ,,ულისე“ სწორედ ეს ხერხი გამოიყენა.

ქართულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმის თავისებურად წარმოჩენას ცდილობს აკა მორჩილაძე. ამის მაგალითია მადათოვის ციკლის პროზა.

დათო ტურაშვილი, მალხაზ ხარბედიასთან მადათოვზე საუბრისას, აღნიშნავს: ,,ეს ნაწარმოები თვითონ გიოს შემოქმედებაშიც განსხვავებული და განსაკუთრებული იყო. მე მგონია, რომ, (ცხადია, ეს უფრო ლიტერატურათმცოდნეების საქმეა, მაგრამ მაინც ვიტყვი), რასაც ლიტერატურის შესახებ წერენ ხოლმე, კამათობენ და ა.შ. ყველაფერი არის ძალიან პირობითი, ტერმინოლოგიებიც კი. მიუხედავად იმისა, რომ მეც მსმენია და ალბათ შენც, რომ ეს რომანი პირდაპირ კავშირშია თანამედროვე პოსტმოდერნულ ქართულ ლიტერატურასთან, ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს, ამას არც უარვყოფ და არც ვადასტურებ, იმიტომ,რომ უბრალოდ არა მგონია,რომ ეს მნიშვნელოვანი იყოს, ტერმინოლოგიურად თუ რა კლიშეებში აღმოჩნდება ესა თუ ის წიგნი ან ესა თუ ის ავტორი. [ხარბედია. მადათოვის ტრილოგია ერთ წიგნად].

თავად აკა მორჩილაძეც რომანს- „გადაფრენა მადათოვზე და უკან“- არ მიიჩნევს პოსტმოდერნისტული ესთეტიკის გამომხატველად. იგი, ჩვეული იუმორით, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს,რომ ეს რომანი რეტრო-რეალიზმის ნიმუშია. ზოგიერთ კრიტიკოსს კი მიაჩნია, რომ ავტორმა ამ გაცხადებით „თავად პოსტმოდერნიზმის პაროდირება მოახდინა. უფრო ზუსტად, ეს იყო პოსტმოდერნისტული ირონია თვით პოსტმოდერნიზმზე“ [იმნაიშვილი, XX საუკუნის 90-იანიწლებისპოსტსაბჭოთათაობისქართულიპროზისპოსტმოდერნისტულიტენდენციები].

შეიძლება ბევრი ვიდავოთ აკა მორჩილაძის შემოქმედების მიმდინარეობასა თუ მიმართულებაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა- პოპულარობა ავტორმა მოიპოვა ნათელი სახეების, იუმორის, ხანდახან დეტექტიური და, ხშირად, რთული სიუჟეტის გამო.

,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“. მადათოვის ციკლის რომანებიდან პირველია. ვინც მის შინაარსს იცნობს, მისთვის სრულიად ნათელია, თუ რატომ გამოიწვია რომანმა არაერთგვაროვანი შეფასებები. არატრადიციული ორიენტაცია და მის გარშემო არსებული საკითხებიXXI საუკუნეშიც კი აქტუალური და, ხშირ შემთხვევაში, მტკივნეულია. ,,ხაფოს ეპოქა“კი ამ ყველაფერს კიდევ უფრო განსხვავებულად აფასებდა.

აი, რას წერს ლალი ავალიანი: ,,მადათოვის კითხვა დიდი მოლოდინითდავიწყე, მაგრამ ზემოთხსენებული ფაქტი (იგულისხმება არატრადიციული ურთიერთობის სცენა ხაფო მხატვრისა და თბილისელი ბობოლების) საკმარისი შეიქნა, რომ წიგნი უსიამოვნოდ, წყენით, ,,ყველაზე პიკანტურ“ ადგილას მომესროლა და აღთქმა დამედო საკუთარ თავთან, რომ ,,მადათოვის“ ხელში ამღები აღარ ვიქნებოდი, მაგრამ ამაო ცნობისმოყვარეობამ და ,,უწესო“ მთხრობელის წრეგადასულმა ნიჭიერებამ მალევე დამარღვევინა ეს აღთქმა“ [ავალიანი, 2005;127].

ეს უკვე მწერლის დამსახურებაა და აკა მორჩილაძე ახერხებს ამ საჩოთირო საკითხებზე წეროს ისე, რომ მკითხველი დაინტერესდეს. ტრილოგიის პირველი ნაწილი, ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“ - ხაფო მხატვრის ისტორიას მოგვითხრობს. ჩვენ გვაინტერესებს ის, როგორც ტფილისელიკაცი და სწორედ მისი ისტორიის ფონზეა გაშლილი ტფილისური კოლორიტიც. ტრილოგიის პირველი რომანი გარკვეულ წრეებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. აქამდე, ქართულ ლიტერატურაში, არავის წაეკითხა ამგვარ მინიშნებებიანიწიგნი. აქ არის ვნება, გამოუცნობი მოვლენები, დეტექტიური ხაზიც. სწორედ ამან განაპირობა რომანის - ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“ განსაკუთრებული პოპულარობა. ჩვენი შრომაც, ამ მხრივ, სიახლეა და, ვფიქრობთ, თემის აქტუალობის და ავტორის პოპულარობიდან გამომდინარე- საინტერესო მკითხველისთვის.

ხაფო მთავარი პერსონაჟია, მაგრამ, როგორც აკა მორჩილაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, მისი საყვარელი პერსონაჟები ყორღანოვი და ბაიარდი არიან. „მთლიანი ამბავიც იმიტომაა მოგონილი, რომ ეს ორი გმირი როგორმე გამოჩენილიყო და დარჩენილიყო ტრილოგიის ბოლომდე“ [ხარბედია, მადათავის ტრილოგია ერთ წიგნად].

ვინ არის ხაფო, სადაურია, არავინ იცის. აღარც ბიჭი ეთქმის, თითქმის ორმოცი წლისაა. იგი ორ ადგილას ერთდროულად დგას - ,,მეიდნისკიდესა“ და ,,ერევანსკისპლოშადზე“. ამქრიდან ამოძირკვული კაცია. მხატვრის შეგირდობით დაიწყო და შორს წავიდა. მისი ნამუშევრებით სავსე იყო სოლოლაკი და ნემენცების

ქუჩა. ,,ხაფო დაბლა ქალაქის კაცი იყო და მაღლა ქალაქში მხატვრობდა“ [მორჩილაძე, 2009;14]

ხასიათის ორმხრივობა, რომელიც აკა მორჩილაძემ შემოგვთავაზა გამოყენებული აქვს ენტონი ბერჯესს „მექანიკურ ფორთოხალში“. ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ალექსი, სწორედ ხაფოსნაირია. „ზემო“ ქალაქის და „ქვემო“ ქალაქის ხაფოს ჩაცმულობაც კი სხვადასხვაა, ალექსიც ასევეა, იგი დღე-ღამის განმავლობაშიც კი განსხვავებულად იცვამს. მისი ჩაცმულობის ცვლილება, მისივე ხასიათის მრავალწახნაგოვნებას გამოხატავს. ორივე გმირისთვის ასევე ახლობელი და მნიშვნელოვანია ხელოვნება. ხაფომხატვარია, რომელსაც, პარიზში რომ ეცხოვრა, მუხლზე დაუდგებოდნენ; ალექსი - კლასიკური მუსიკით ცხოვრობს. ხელოვნება, თითქოს აკეთილშობილებს ადამიანს, მაგრამ არა ამ ორ შემთხვევაში. ხაფო,ხატვის დროსაც და მერეც, ისევ ის ბნელი კაცია, როგორიც იყო. ხოლო ალექსი, სწორედ მუსიკის გავლენის ქვეშ მყოფი სჩადის საშინელ დანაშაულებს.

ხაფოს ხასიათის ეს ორმხრივობა, მთელი ნაწარმოების განმავლობაში ჩანს, თითქოს ყველასთვის ნაცნობია მისი ხასიათი: სინამდვილეში, იდუმალი და ამოუცნობია, წარმომავლობა - გაურკვეველი, ოჯახური მდგომარება - ბუნდოვანი, სექსუალური ორიენტაცია - კითხვის ნიშნებს ბადებს, ხოლო რელიგიური მრწამსი, როგორც მამა ზაქარიამ გამოარკვია, მას არ უნდა გააჩნდეს.

ასე, რომ მაღლა და დაბლა ქალაქის ხაფო ორი განსხვავებული ადამიანია. მაღლა იგი დაშაქრულად საუბრობს, თითქოს გაზეთებიც წაუკითხავს, გეოგრაფიის გაგებაც კი აქვს. აქ არავინ საუბრობს მის ორიენტაციაზე. დაბლა კი ხაფო უშნო იყო, „მეკურტუმე კაცი“.

მიაღწევს რა მამა ზაქარიამდეხაფოს ცხოვრების დეტალები, სასულიერო პირი თავს მოვალედ ჩათვლის, გამოარკვიოს, რა ხდება ქალაქში, ჩანს, რომ აინტერესებს ამ კაცის ვინაობადა ეს დაინტერესება, ვფიქრობთ, ავტორის პოზიციის გამომხატველია.აკა მორჩილაძეს აინტერესებსსაეჭვო რეპუტაციის, მაგრამ გამორჩეული ხაფო-მხატვარი. ყოველივე კი იმითაცაა განპირობებული, რომ ხაფო თან არის თბილისური კოლორიტის ნაწილი და თან არა. იქვე ტრიალებს, მუდამ ყველაფერი იცის, თან გამორჩეული

ინდივიდია. მამა ზაქარიახაფოს რომ სადაურობას გამოჰკითხავს, იგი პასუხობს: „-აბა, რა გითხრა- თქვა ძალიან რბილად, შაქრიანად გაღიმებულმა,-ჩემი ნათლია მე არ მახსოვს, დედ-მამაც არა. რა რჯული ვარ? ქალაქისა. იმ დღეს თქვა თათარმა, აქ შია და სუნი არა მტრობს, აქ თფილისია. ლუკმას შრომითა ვჭამ, სხვა რა არი?“ [მორჩილაძე, 2009;გვ.20].

რელიგია ფილოსოფიაა, სწორედ ასეთივე ფილოსოფია აქვს ტფილისს.ეს „ტფილისური რელიგია“ საუკუნეთა განმავლობაშიყალიბდებოდა და საკმაოდ მძლავრ ძალადაც იქცა. ამავე რელიგიის მიმდევრები არიან მწერლის სხვა პერსონაჟებიც. როგორც ამ ამონარიდიდან ვხვდებით, ხაფო ნამდვილად იდუმალი და გაურკვეველი კაცია. ერთი შეხედვით, ამაყად მდგომი ვაჟკაცი, რომელიც მშვენიერ ნახატებს ქმნის. მეორე მხრივ კი -ბნელი პიროვნება.

აკა მორჩილაძის გმირების დამოკიდებულება რელიგიისადმი საკმაოდ რთულია. „გასეირნება ყარაბაღში“ რომანის მთავარი პერსონაჟიც კი შენიშნავს, რომ მისი რელიგიურობა მხოლოდ მიუზიკლის (იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი) ყურებით შემოიფარგლა. რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ ის ეპოქა, რომელშიც აკას რომანის გმირები ცხოვრებენ. საბჭოთა ეპოქის დროს, ნებით თუ უნებლიედ, ხალხმა მიივიწყა ეკლესია.

მადათოვის ციკლში კარგად ჩანს, როგორ აკონტროლებს ხელისუფლება ამ საკითხს. ავტორსაწუხებს რწმენის ნაკლებობა და უკვე „ქაღალდის ტყვიაში“ გმირების ბავშვობის მეგობარს სასულიერო პირად აქცევს. თბილისელი კალათბურთელი ბიჭის მამა ონოსიფორედ გადაქცევა არის ხსნის გზა არა მხოლოდ მისთვის, არამედგარშემო მყოფი „ბიჭებისთვისაც“.

აღსანიშნავია,ხაფოს მიერ მამა ზაქარიასთვის მიცემული წითელი ვაშლი. წითელი ვაშლი, როგორც ვიცით, ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევების და, ამ შემთხვევაშიც, ბოროტ ძალაზე მიმანიშნებელია.

რომანში კარგად ჩანს ხალხის რელიგიისადმი დამოკიდებულება.იმ ეპოქაშიც კი, უამრავი ადამიანი ეკლესიისაგან შორს იდგა. ხაფომტაძარში მოქცევის წესები იცის, მაგრამ კითხვაზე, რომელი რჯულისაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხობს -

ქალაქისა. ვფიქრობთ, ეს მომენტი კარგად გვიჩვენებს ტფილისელი ადამიანის დამოკიდებულებებს.

ხაფო მხატვრის პიროვნების გამოცნობის სურვილმა სასულიერო პირი დეტექტივად აქცია. მამა ზაქარია, ისევე როგორც ფინდღა ფირუზა, გაურკვეველ ვითარებაში ქრებიან, სწორედ მაშინ, როდესაც მხატვრის პირადი ცხოვრების გამორკვევას ცდილობენ.

ვინ არის ფინდღა ფირუზა, ის მრავალი ამბის მოწმეა. მას ავტორი ძალიან საინტერესოდ ახასიათებს: ,,ის იყო ოსტატი ლამაზი თხრობისა და ლამაზი ამბისა, თუმცა, ლამაზად ჰყვებოდა ამორალიებსაც. მისთვის სკაბრეზი იყო სილამაზე. ამორალია - კატეგორია. რადგან ამორალია ყოფა გახლავთ. ის სკაბრეზით ჰყვებოდა ჩვეულებრივ ამბავსაც. ეს ლამაზი იყო, ეს ჰანგი იყო“ [მორჩილაძე, 2009; 30]. მან ბევრი იცის, მაგრამ დუმს. ფინდღა საკუთარი თვალით ხედავს თბილისის აბანოში მომხდარ ამბებსაც და ამ ყველაფერს რვეულს გაანდობს. მიუხედავად იმისა რომ, ფინდღა ფირუზა გამორჩეული ქალაქური ტიპი არ არის, ვფიქრობთ, თბილისურ კოლორიტს ის თავის ფერს სძენს. საერთოდაც, თუ მწერლის შემოქმედებას თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ მწერლის პერსონაჟები ინდივიდუალური ხასიათით გამოირჩევიან;

ტრილოგია უდავოდ პოპულარულია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ რატომ? ერთნი ფიქრობენ რომ; „მადათოვის პოპულარობა მისმა სკაბრეზულობამ განაპირობა. სკაბრეზად ანუ თხზულების უხამსობად რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ხაფო- მხატვარი უნდა მივიჩნიოთ; უფრო სწორად, ქართული ლიტერატურისთვის აქამდე უცნაურ, უცნობ და მიუღებელ თემებზე ყურადღების გამახვილება, რაც მღებავი ხაფოს ცხოვრების წესზე, მის არატრადიციულ ორიენტაციაზე - საერთოდ მამათმავლობაზე - საუბარში გამოიხატა“[იმნაიშვილი,XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები]. მეორენი კი, მიუხედავად საკითხის სკაბრეზულობისა, მნიშვნელოვნად თვლიან ასახვის ფორმებს, მწერლის უნარს, სენსიტიური საკითხები ირონიით შენიღბოს და მისი კითხვისას წიგნის „მოსროლა“ არავის მოუნდეს.

საბრალო ბიჭის შვილად აყვანა არავის უნდა მოსჩვენებოდა ცუდ გადაწყვეტილებად, ამისთვის სხვას აუცილებლად შეაქებდნენ და შეამკობდნენ, მაგრამ როდესაც საქმე ხაფოს ეხება, ეს კეთილშობილი საქმეც კი ცბიერების ელფერს იძენს. საწყალი ყრუ-მუნჯი ბიჭი ცოლად ყავსო - დადიოდა ხმები ქალაქში.

ხაფოს ხასიათის მნიშვნელოვანი დეტალია კუნძული მადათოვი, ადგილი, სადაც მავანნი ბნელი საქმეების მოგვარებას ახერხებენ. კუნძული, მოქმედების ეპიცენტრია ტრილოგიის სამივე რომანში. პირველ ნაწილში აქ პოულობენ გარდაცვლილ ხაფოს, მეორე ნაწილში კუნძული შეთქმულებისა და გამომძიებლების ურთიერთობის ადგილია, ხოლო მესამეში- თეთრი ვეშაპი შთანთქავს მას.

საინტერესოა მადათოვის კუნძულის შეფასება, რომელსაც ავტორი ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინებს: ,,სიბინძურეთა მთელი ასხმა, პროკლამაციები, ბებუთი, კაცი, რომელიც პარიზში მხატვარი იქნებოდა, ტფილისში კი ბინძური შანტაჟისტი იყო... და მორჩა“ [მორჩილაძე, 2009; 94]

ხაფო მოკლეს. ამ უცნაური ვითარების გამოძიება კი ყორღანოვსა და ბაიარდს დაევალათ. ისინი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პიროვნებები არიან, ვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, ამას მწვანე საქაღალდე და ჩართულ პირთა სიაც ადასტურებს. ეს ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პერსონაჟი, თავიდან ამრეზით უყურებს ერთად მუშაობის პერსპექტივას. საბოლოოდ კი, მათი ტანდემი საუკეთესო შედეგების მომტანი იქნება. ვფიქრობთ, ამიტომაც გადაიყვანა ისინი მწერალმა შემდეგ რომანებშიც და იქაც გააგრძელა მათი ისტორია.

ყორღანოვი საინტერესო ბედის კაცია. მისი პიროვნების ,,გახსნაში“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული თავგადასავალი. აკა მორჩილაძე დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას, ქართველი ხალხისათვის ესოდენ მნიშვნელოვან და სევდიან ამბავს,ყორღანოვთან აკავშირებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა სამხედროს სცოდნია მოხუცის დაგეგმილი მკვლელობის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერი გაუკეთებია. ეს ამბავი განსაზღვრავს ყორღანოვის მთელ ბედს და იგი თბილისში ბრუნდება. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის საკითხი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სევდიან და გაურკვეველ ამბავს წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში.

ვფიქრობთ, მწერალი ითვალისწინებს მკითხველის ინტერესს და ამიტომაც გვთავაზობს მკვლელობის ახალ დეტალებს.

აკა მორჩილაძე,გამოძიებისდროს, ორ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოგვიდგენს: ესენი არიან გრაფი სეგედი და მუშნი ზარანდია. როგორც ვიცით, ეს ორი პერსონაჟი ავტორმა ,,ისესხა“ ჭაბუა ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხიადან“: რაში დაჭირდა ეს ავტორს? ვფიქრობთ, ეს ორი პერსონა იმდენად შთამბეჭდავია და მეფის რუსეთის პოლიტიკას იმდენად პიროვნული თვისებების შესაბამისად, თუმცა ერთგულად ატარებს, რომ აკა მორჩილაძემ ისინი ერთ რომანში დასატოვებლად ვერ გაიმეტა და არსებობა გაუგრძელა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხერხს მწერალი სხვა დროსაც იყენებს. პოსტმოდერნიზმს ახასიათებს გმირთა „გადაადგილება“ სხვადასხვა ადგილას მათი „აღმოჩენა“. და, რადგან პოსტმოდერნისტული განწყობილებების ძიება ძველ ტექსტებშია შესაძლებელი, აკა მორჩილაძე თვლის, რომ ამ თვალსაზრისით ,,დათა თუთაშხია“ საინტერესო ნაწარმოებია ,,თავისი დამთრგუნველი სევდა-კაეშნით და უიმედობით“ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011; 260].

გამოძიებამ გვიჩვენა - ხაფო დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ყოფილა. ამ ჯგუფს ბებუთოვი მეთაურობდა. ყველა ბნელ საქმეს თავისი ,,მფარველი“ გამოუჩნდება ხოლმე. იმ დროის თბილისში ის რუსეთის პოლიტიკის მომხრე, ქომაგი და გამტარებელი უნდა ყოფილიყო.

ვინ მოკლა ხაფო მხატვარი, ამას რომანის დასასრულით ვერ ვიგებთ, მაგრამ თანდართულ შენიშვნებში (რომელიც საინტერესო მასალას შეიცავს),მკვლელად გვევლინება ხაფოს შვილობილი, ყრუ-მუნჯი ბიჭი.ავტორი აქაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ,,დათა თუთაშხიაზე“.

მიგვაჩნია, რომ ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“ ძველი ამბების ,,კვლავწარმოებით“ და ,,გახსენებით“, განსაკუთრებით კი მადათოვის კუნძულის ამბებით, მითს კი არ აცოცხლებს, არამედ ახალ რეალობას, ახალ მითს ქმნის. კუნძულის ისტორია კი მართლაც მითია, რომელსაც კარგად იყენებს ავტორი.

ნორვეგიელი ავტორის, კნუტ ჰამსუნის აკა მორჩილაძის რომანში გამოჩენას, თავისი ღრმა საფუძველი აქვს. პირველ რიგში, ეს არის, მითის ,,კვლავწარმოება“, მეორე

მხრივ, კი ჰამსუნი აერთიანებს ხაფოს არატრადიციულ ორიენტაციას და სერგო ფარაჯანოვის სახეს. ლალი ავალიანი აღნიშნავს: ,,აკა მორჩილაძის რომანში მოხვედრას დიდი ნორვეგიელი მის ნამდვილ გვარს-პედერსენს ,,უნდა უმადლოდეს“. ასეთია ავტორის ,,ასოციაციური ჯაჭვი“-სრულიად შემთხვევითი კაპრიზი თუ უნებლიე დამთხვევა“ [ავალიანი, 2005; 131]. რაც შეეხება ხაფოსა და დიდი რეჟისორის გაიგივებას, ავტორი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. მან სერგო ფარაჯანოვის ხასიათის ერთი შტრიხი გამოიყენა. ეს შტრიხი მისი საოცარი ხელგაშლილობაა. როდესაც ვმსჯელობდით ლიტერატურული სახის შექმნასა და პროტოტიპზე, მივუთითეთ, რომ რთულია რეალური ძირების დაძებნა. ხაფოს სახემ გაამთლიანა ფარაჯანოვის, კინტოების, უბრალოდ ტფილისელი ადამიანის ნიშან-თვისებები.

როდესაც პოსტმოდერნისტულ ელემენტებზე ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ავტორისათვის პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა ძველ ტექსტთა გამეორებას გულისხმობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პლაგიატი კი არა, ტექსტის ,,სესხებაა“. მადთოვის ტრილოგია ,,იკვებება“ სამი ძირითადი ნაწარმოებით ესენია - ,,დათა თუთაშხია“, ,,გლახის ნაამბობი“, ,,შერლოკ ჰოლმსი“. პერსონაჟების წარმომავლობაზე ავტორი თავად მიუთითებს.

პოსტმოდერნისტული თვითირონია და პაროდია შეიმჩნევა რომანში ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“. ამ ნაწარმოებს ახლავს ავტორისეული დანართი, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებათა ბედის შესახებ გვამცნობს, არამედ კონკრეტული ამბების გამორკვევაშიც გვეხმარება. მთავარი გმირის, ხაფო მხატვრის, მკვლელის ვინაობასაც ხომ სწორედ დანართიდან ვიგებთ.

ავტორის მიერ დიდი სკურპულოზურობით შედგენილი დანართი - პირთა საძიებლები, ხაფოს წარმომავლობის გენიალოგია, მთლიანად გაჟღენთილია პოსტმოდერნისტული ესთეტიკით. მკვლევარი ლალი ავალიანი ,,ყველაფრისთვის სინათლის მომფენ“ დანართში უამრავ შეცდომას პოულობს და შენიშნავს: ,,ავტორი ვითომცდა კომენტარებს ურთავს რომანს; სინამდვილეში კი მისტიფიკაციის შესაშურ უნარს ავლენს და მკითხველს აბაიბრუებს და ათაყვანებს.“ [ავალიანი, 2005;129].

ამრიგად, ,,ორმაგი კოდირების საშუალებით“, პოსტმოდერნისტი მწერლები, ერთი მხრივ, იყენებენ მასობრივი კულტურისათვის ნაცნობ მასალას, ხოლო მეორე მხრივ, ძველი ტექსტების პაროდიული გააზრებით ,,ართულებენ“ ტექსტს. ეს კი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ ნაკლებად განათლებული მკითხველი ვერ იგებს რთულ, მრავალპლანიან პარალელებს. ამ ხერხს პოსტმოდერნისტულ კულტურაში პასტიში ეწოდება.

რაც შეეხება ჩვენი კვლევის მთავრ საგანს-თბილისელი ბიჭის ტიპს და თბილისურ კოლორიტს, ამ რომანის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხაფო ამოვარდნილია ტიპიურის გაგებიდან. ის არატიპიური ტფილისელია, იცავს ქალაქურ წესებს,მისდევს ქალაქურ რელიგიასა და კანონებს, მაგრამ მაინც უცხოდ, გამორჩეულ პერსონაჟად რჩება. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მხატვრის გარშემო იკრიბებიან თბილისური კოლორიტის მთავარი ნაწილები, იქმნება ტფილისის მოზაიკა.

&1.2. ,,გაქრები მადათოვზე“

,,გაქრები მადათოვზე“, წინა რომანთან შედარებით, კიდევ უფრო რთულია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, მწერალი და მკითხველი ერთმანეთს სცდებიან. ავტორის ჩანაფიქრის გამოცნობა კიდევ უფრო გართულებულია, ყოველი ახალი თავი სხვადასხვა მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებების ამონარიდებით იწყება.

რამდენადაც ჩვენი კვლევის საგანი თბილისური ტიპაჟის ძიებაა, მეორე ნაწილში უკვე ხაფოსგან განსხვავებული ტიპები ჩნდებიან -საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდები. იოსელიანი და იმერლიშვილი პროგრესული ახალგაზრდები არიან, რომელთაც ქვეყნის შეცვლა და მისი ევროპეიზაცია სურთ.

რომანის ქრონოლოგია 1909 წლიდან იწყება;მადათოვის პერსონაჟთა შეფასებისას არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს ეპოქა, ხანა, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. პირველ მსოფლიო ომამდე სულ ცოტაღა დარჩა და თბილისის მოსახლეობას ნაწილობრივ ეტყობა რუსეთის იმპერიის ბურუსი.

აკაკი იოსელიანი ვერ ახერხებს გაუმკლავდეს მძიმე სოციალურ პირობებს და მშიერი „თვალის გაძღობას-ღა“ ცდილობს. მას მხსნელად მოევლინება ბავშვობის მეგობარი, ილიკო იმერლიშვილი, რომელიც ,,სამადლო ვახშმით“ გაუმასპინძლდება. ,,სამადლო ვახშამზე“ ილიკო გულწრფელად ცდილობს მეგობრის დახმარებას. აქ,ჩვენ წინაშე, უკვე ორი ლაღი სტუდენტი კი არა, არამედ ორი განსხვავებული სახეა. იმერლიშვილი ევროპულადაა გამოწყობილი, თავდაჯერებულია და აქვს მომავლის იმედი. ის ცვლილებების სურვილით აღვსილი კაცია, აკაკი იოსელიანი შიმშილის ზღვარზე - რედაქციიდან რედაქციაში უიმედოდ მოსიარულე ჭაბუკია.მათი შეხვედრის ეპიზოდში კიდევ ერთი ხაზგასმაა საფრანგეთზე, ევროპის ამ დიდებულ ქვეყანაზე, რომელიც საოცნებოდ გახდომიათ ,,საბრალო“ ქართველ ახალგაზრდებს.

საინტერესო ტიპია ილიკო იმერლიშვილი, მას სამყაროს შეცვლა სურს. მისი დიადი მიზნების განსახორციელებლად წიგნი უნდა ითარგმნოს. სწორედ ეს მისია დაეკისრება აკაკი იოსელიანს, რომელიც, ამ წიგნის ავტორისა არ იყოს, ფსევდონიმით სარგებლობს და ზაალ ნაკაშიძედ გადაიქცევა. რატომ იოსელიანი მთარგმნელად? პირველ რიგში , ალბათ, მეგობრის დახმარების სურვილი და ნდობა, მეორე მხრივ, კი ის, რომ აკაკიმ მეტ-ნაკლებად იცის ინგლისური ენა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ვერსია, რომელსაც ავტორი ივანე მაჩაბლის გაქრობის შესახებ გვთავაზობს- იგი ბოშებს გაჰყოლია არგენტინაში, თორემ მისეული თარგმანი უდავოდ საუკეთესო იქნებოდა.

როგორი ტიპია აკაკი იოსელიანი? განათლებული, პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლის მიზანია წვლილი შეიტანოს საქვეყნო საქმეებში. იგი ძალიან თბილი და მოყვარული ადამიანია, რაც კარგად ჩანს მის მიჯნურთან დამოკიდებულებაში,მაგრამ რედაქციაში მისული აკაკი მწირი სადილისა და რამდენიმე ჭიქა არაყის შემდეგ უბრუნდება რეალობას. მისი შესაძლებლობები და სინამდვილე სცდება ერთმანეთს, რაც გმირს აიძულებს ჩაერთოს მეგობრის მიერ შემოთავაზებულ ,,აკრძალულ თამაშში“.

რომანში, ,,გაქრები მადათოვზე“, საინტერესო ტიპია კაპიტანი საგინოვი. იგი მხოლოდ და მხოლოდ წარსულის ლანდია. ერთ დროს წარმატებული და დაწინაურებული სამხედრო პირი, დღეს სრულ მარტოობასა და უიმედობაში ჩაძირულა.

საგინოვის ერთადერთ მეგობარს ძაღლი წარმოადგენს,რომელსაც ,,კაცურად“ ცხოვრებას ასწავლის. განსაკუთრებით საინტერესოა კაპიტნის დამოკიდებულება ქალებისადმი. სწორედ ქალები იქცნენ საბედისწეროდმის ცხოვრებაში. მისი შეფასებით, ისინი ერთ დროს ოჯახებს ანგრევდნენ, ახლა კი ანადგურებენ „კავკასიელ ჯიგიტს“. ეს შეფასება საგინოვსგანსაკუთრებულად აღიზიანებს.

კაპიტანი საგინოვი ქალებთან დაკავშირებით საკუთარ ძაღლს გაენდობა. იგი ამბობს: ,,ქალებთან სულ მოგებული ვიყავი. სწორედ რომ მოგებული, ძალით გამარჯვებული. ისინი კიდე - დამარცხებული. წაქცეულსა და ფეხზე მდგომს შუა რა სიყვარული გახლავს, ფირანავ? ქალს უნდა მოერიო, ფირანავ! ოღონდ კი მერე იმას ფასი აღარ აქვს და გადააგდებ განაღდებული ვექსილივით.“[მორჩილაძე, 2009; 246-247]. ეს პოზიცია მისი ხასიათის იმ ბნელ მხარეებზეც მიუთითებს, რომელსაც მთელი რომანის განმავლობაში ვხვდებით.

კაპიტნის მეგობრობა გულწრფელი და თავდადებულია. ექიმის ცოლის ეპიზოდი საინტერესოდ წარმოაჩენს ორი განსხვავებული ტიპის ცხოვრებას. დაეჭვებული ექიმის ყველაზე ცუდი ვერსია გამართლდება და რა უნდა ქნას მან? ყოყმანი, ერთგვარი შიში მის ყოველ ქმედებას ახლავს თან. საგინოვი მკვლელობით იხსნის მეგობარს, საკუთარ თავზე აიღებს მორალურ პასუხისმგებლობას და ამას აუღელვებლად აკეთებს. სწორედ კაპიტანი იხსნის იოსელიანსაც. ისევე როგორც ხაფო, ისიც ორსახიანია, თუმცა მისი ბნელი მხარე გულისხმობს არა სექსუალურ ორიენტაციას ან დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას, არამედ აგრესიას, რომელიც კაპიტანს ყველგან თან სდევს. აგრესია არ არის უცხო ავტორის სხვა პერსონაჟებისთვისაც. მაგალითად, რომანის ,,მოგზაურობა ყარაბაღში“ ერთ-ერთ მამოძრავებელს სწორედ აგრესია წარმოადგენს.

არა მხოლოდ „მადათოვის ციკლის“, არამედ აკა მორჩილაძის რომანებთან დაკავშირებით ერთ საინტერესო დეტალს უნდა დავაკვირდეთ, აქ საკმაოდ მწირია ქალთა სახეები. გენდერული ბალანსი დარღვეულია და მწერალი, ძირითადად, ქალ პერსონაჟებს მამაკაცთა ხასიათის ახსნისა და გახსნისთვის იყენებს. „გაქრები მადათოვზე“ ამ მხრივ განსხვავებულია. რომანში ორი ქალია- კნეინა არდაშელ-იშხნელისა და მარინე აგაბეკოვა. ჩვენი კვლევის საგანი თბილისური კოლორიტის

წარმოჩენაა, ამიტომაც როდესაც მამაკაც პერსონაჟებზე ვმსჯელობთ, ვხედავთ, რომ არცერთი მწერლის შემოქმედებაში, რომელიც აღწერდა ტფილისს, არ ჩანს ქალთა მკაფიო სახეები. თბილისური კოლორიტი მამაკაცების დახმარებით იქმნებოდა, ამიტომაც აკა მორჩილაძე ქალთა სახეებს ძალიან მწირად გვთავაზობს. და, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ გვიხატავს, ქალებს საკუთარი როლი აქვთ, როლის შესრულების შემდეგ ისინი სცენას ტოვებენ. ამ სიმწირის გამო, განსაკუთრებით საინტერესოა თბილისური კოლორიტის ეს აუცილებელი ნაწილი, რომელთა საშუალებით იხსნება მამაკაცთა ხასიათი.

პოლინა არდაშელ-იშხნელს ავტორი „ცოდვათა შემგროვებელს“ უწოდებს; ეს არის ინტრიგების ხლართვაში გამოწვრთნილი ქალი, რომელსაც პრინციპები და მორალი არ გააჩნია. საგინოვისა და იოსელიანის ცხოვრებაში იგი გარდამტეხ მომენტებში ჩნდება და ორივე შემთხვევაში საბედისწერო როლს ასრულებს. რომანში ნაჩვენებია კნეინას ბურუსით მოცული გარდაცვალების ისტორია, ესეც კაპიტნის ხელით ხდება, რადგან მანამდეც მრავალჯერ გაისმა მუქარა. „ბედნიერია ის, ვისაც მისი გაცნობის საჭიროება არ ჰქონია“- ასე აფასებენ ქალს.

თუ პოლინა არდაშელ-იშხნელი-საგინოვისა ინტრიგებისა და ჩახლართული ამბების „დედოფალია“, მისი საპირისპირო ტიპია მარინე აგაბეკოვა. ეს მშვენიერი ასული რედაქციაში მისვლისთანავე მოეწონება იოსელიანს, უკვე დევნილ ვაჟსაც მიჯნური გამოუჩნდება მხსნელად და დამალავს.ეს არის წრფელი სიყვარულის ისტორია, რომლის განვითარებასაც ისევ „საქვეყნო საქმეები“ უდგას წინ.

როგორია ამ დროის თბილისი? კარგად გაქეიფებენ, კარგად დაგმალავენ, ერთ კარგ ოპერასაც მოგასმენინებენ. რომანში გაფანტული არიან ეთნიკურად არაქართველი ტიპებიც. სწორედ, პერსონაჟთა ეს მრავალფეროვნება და განსხვავებული ბედი, ქმნის თბილისურ კოლორიტს. ეს განცდა მკითხველს სულ აქვს, მხოლოდ ქართველებით დასახლებული ტფილისიისტორიული და ეთნიკური ხარვეზი იქნებოდა.

რომანის ბოლოს ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პერსონაჟები-ყორღანოვი და ბაიარდი ჩნდებიან; ისინი, ახლა უკვე, მეგობრები არიან და საკმაოდ თბილად ხვდებიან ერმანეთს. პირველი ნაწილიდან„გადმოდის“ ილიკო იმერლიშვილიც. ეს, როგორც

აღვნიშნეთ, პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია, გმირების „მოგზაურობა დროსა და სივრცეში“, ამბის დასაწყისისა და დასასრულის სახელდება რთულია.

ამდენად, ავტორი რეალურ და ირეალურ სივრცეს ადგილებს უცვლის. ერთი ეპიზოდიდან დაუსრულებლად მეორე ეპიზოდზე გადადის და ერთ ადგილას მყოფ პერსონაჟებს მეორე ადგილას გადაიყვანს. საზღვრები არ არსებობს. რომანში დახატულია იმ პერიოდის თბილისი, თვალსაჩინო ხდება რუსეთის მზაკვრული გეგმებიც.

ავტორს რომანში გამოყენებული აქვს საბაზო პოსტმოდერნისტული მახასიათებლების რამდენიმე ელემენტი: ესენია ინტერტექსტუალობა, ტოტალური ირონია, მინიშნების ტექნიკა, ციტატური აზროვნება და,ვფიქრობთ, პარადიგმული მიდგომა, რასაც უფრო მისაღებად და მეცნიერულად სწორად მიიჩნევენ.

ისევე, როგორც ეს დამახასიათებელია პოსტმოდერნისტებისათვის, აკა მორჩილაძის „ამ რომანში არ ხდება ,,ტექსტის ორგანიზება ტრადიციული გაგებით“, მწერალი ქმნის ქაოსის ეფექტს, ის აქტიურად ერევა მკითხველის მიერ ტექსტის გაგების პროცესში და მკითხველს თავს ახვევს თავის ინტერპრეტაციას. ამ რომანში ავტორი დასცინის ,,მკითხველის მოლოდინს, მის გულუბრყვილობას, მის სტერეოტიპულ აზროვნებას“ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011; 268].

&1.3 ,,ვეშაპი მადათოვზე“

,,ვეშაპი მადათოვზე“ მადათოვის ციკლის მესამე წიგნია. როგორც სხვა ნაწილებში, აქაც ვხვდებით ისტორიულ და მწერლის ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟებს. რომანი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი მიჰყვება და აგრძელებს ,,მადათოვის ისტორიას“, მეორე ნაწილში კი ახალ რეალობას ქმნის და მკითხველი აღმოაჩენს, რომ მთელი ეს მრავალწლიანი ისტორია მხოლოდ და მხოლოდ თამაში- ..მეჯიკ პოლისი“ ყოფილა. რომანში პოსტმოდერნისტული სამყაროსთვის დამახასიათებელი თამაშის პრინციპია გამოყენებული. ავტორი მკითხველს ეთამაშება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

,,ვეშაპი მადათოვზე“-ს პერსონაჟი, გამორჩეული ტიპი. პლატონ სამანიშვილი იარსებული რეჟიმის ,,მსხვერპლია“ და ბოლომდე თავდადებით ცდილობს არ დაუშვას საღ-სალამათი ადამიანის საგიჟეთში გამომწყვდევა. გადაკეთებული გვარები, რომლებიც მთელ ტრილოგიას გასდევს, (მაგ: საგინოვი-საგინაშვილი, ყორღანოვი-ყორღანაშვილი, სამანი-სამანიშვილი) რუსეთის პოლიტიკის სახეა.

თბილისური კოლორიტის ერთ-ერთ ტრაგედიად იქცა ის, რომ პერსონაჟები კარგავენ ეროვნულობას და რუსეთის იმპერიის სამსახურში ერთგულად მდგარნი უწარსულო, უეროვნებო პირებად იქცევიან.

კითხვისას აღმოვაჩენთ, რომ მადათოვის ტრილოგია გამოგონილი ყოფილა და სინამდვილეში კომპიუტერული თამაშია. იშმაილი (ფსევდონიმია) ერთი უბრალო ვითომ მწერალია, რომელიც წიგნაკებს წერს. მიუხედავად იმისა, რომ არარსებული სამყაროა, აქაც სწვდებათ კომუნისტების მსახვრალი ხელი. საქართველო წითლებთან ბრძოლაში მარცხდება.

იშმაილი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭის ტიპია, რომლის ირგვლივ საბურთალოსთვის დამახასიათებელი პრობლემებია,იგი ქალაქის გადარჩენისთვის თამაშობს და თამაშობს, მაგრამ ვერაფერი უშველის ქალაქს,საბოლოოდ კი თეთრი ვეშაპი შთანთქავს ყოველივეს: ,,რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო, ისე, როგორც თეთრმა ვეშაპმა კუნძული“[მორჩილაძე, 2009;482].

პერსონაჟი ტიპიურ თბილისელს წარმოადგენს - უფულო, „ნიჭიერი,მაგრამ ზარმაცი“, ცოლთან პრობლემების მქონე, ვერშემდგარი კაცი.

რომანში-,,ვეშაპი მადათოვზე“ ერთ-ერთი საინტერესო ტიპია ზოია კასაბრადოვა. იშმაილის სახლში ზოია შემთხვევით მოხვდება. ქალი ,,წიგნაკების მწერლის“ რეციდივისტ მეგობარს მოჰყვება და თავადაც რეციდივისტისშთთაბეჭდილებას ტოვებს. ,,მეჯიკ პოლისის“ თამაშში გართული გმირი ზოიას ვერც ამჩნევს, მათ შორის უცნაური მეგობრობა ჩამოყალიბდება.

ასეთივე უცნაური მეგობრული კავშირია რომანში ,,ქაღალდის ტყვია“ მწერალსა და სწორედ იგივე ქალ-ზოია კასაბრადოვას შორის. აქ კასაბრადოვა მეორეხარისხოვანი,

მაგრამ მნიშვნელოვანიპერსონაჟია. ვფიქრობთ, ლევან თუთბერიძემ, რომელმაც ამ ნაწარმოებზე სერიალი გადაიღო, სწორად დაინახა ქალის როლი და იგი სერიალის მთავარ პერსონაჟადაც ამიტომ აქცია.

ვინ არის ეს ქალი? თუ მადათოვის ტრილოგიაში ისავტორს უბრალოდ წვრილმან ხულიგნად და მსუბუქ რეციდივისტად მიაჩნია, მეორე რომანში იგი უკვე მეძავად გვევლინება. ქალი პერსონაჟი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ხდება, რადგან, მისი მეშვეობით, კიდევ უფრო ბევრს ვიგებთ თბილისელ ბიჭებზე, რომლებიც ამ ქალს, მიუხედავად რეპუტაციისა, გულწრფელად უყვებიან საკუთარ თავზე, გრძნობებზე. ზოიაც, თავის მხრივ, მუდამ ბიჭების გვერდითაა. ეს დეტალები ქალს გამორჩეულ ტიპად აქცევს და თბილისურ კოლორიტსაც მიაკუთვნებს.

პოსტმოდერნისტი მწერლებისათვის არ არის უცხო გმირების სხვადასხვა ნაწარმოებებში მოგზაურობა. მიგვაჩნია, რომ აკა მორჩილაძე ზოიას ,,ამოგზაურებს“ და წლების შემდეგ ახალ სიცოცხლეს სძენს მის სახეს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას ის, რომ აკა მორჩილაძემკიდევ ერთხელ, სიმბოლური ვეშაპის მიერ შთანთქმული მადათოვით, გვიჩვენა რუსეთის იმპერიაში საქართველოს მძიმე ხვედრი. ქრება მადათოვის კუნძული, და ასევე შიძლება გაქრეს საქართველოც.

საინტერესოა დათო ტურაშვილის მოსაზრება კუნძულის გაქრობასთან დაკავშირებით: ,,პირადად ჩემი აზრით, ამ კუნძულის დაკარგვით ჩვენმა ქალაქმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა, და ეს არ იყო მხოლოდ დანაკლისი ეგზოტიკის თვალსაზრისით: თვითონ ეს მადათოვიც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, იყო კუნძული, მაგრამ იმავე დროს იყო უფრო მეტი, ვიდრე შენი ქვეყანა“[ხარბედია, მადათოვის ტრილოგია ერთ წიგნად]. მწერალი აგრძელებს მსჯელობას მადათოვის კუნძულის და ჩვენი ქვეყნის მსგავსებაზეც. შეუძლებელია აქ მის მსჯელობას არ დავეთანხმოთ და ჯერ კიდევ პირველ ნაწილში გამოჩენილი მადათოვი საქართველოსთან არ გავაიგივოთ.

თეთრი ვეშაპის ფერთა სიმბოლიკას თუ მივყვებით, იგი მშვიდობიანი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოსთვის ,,თეთრი“ მტერიც ,,წითელივით“ მძიმე აღმოჩნდა.

ამრიგად, ქრონოლოგიას რომ მივყვეთ, რომანი საბჭოთა პერიოდის ამბებს მოგვითხრობს. 1929 წელია და მსოფლიოს დიდი ნაწილი სტალინს ეკუთვნის. მწერალი ირონიას არ იშურებს მის მიმართ. რომანში ასევე შევხვდებით სტალინის პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში, მის გაქცევასა და ბერის სამოსში გამოწყობას.

დათო ტურაშვილი აფასებს რა მადათოვის ტრილოგიის კულტურულ პლანს, საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს: ,,ჩემთვის მაინც ყველაზე შთამბეჭდავი, მაინც პირველი მადათოვია, შეიძლება წყვეტის გამო, რადგან ჩვენ ძალიან დიდი წყვეტა გამოგვივიდა, მთელი ეს საბჭოთა პერიოდი. იყო უამრავი მონაპოვარი, რაც მანამდე ჰქონდა თანამედროვე ლიტერატურას, ან შეიძლებოდა გვქონოდა, რადგან მაშინ თითქმის ფეხდაფეხ მივყვებოდით ევროპულ პროცესებს, რომ არა ანექსია და ოკუპაცია და გაწყვეტა ამ კავშირის, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ჩვენ ხომ ინფორმაციული კავშირიც კი არ გვქონდა, არათუ რაღაცა ღრმა პროცესები. არადა მანამდე ჩვენ სერიოზული მონაპოვრები გვქონდა, არამხოლოდ ლიტერატურაში, არამედ კინოში, თეატრში, ფერწერაში და ა.შ. რომ არა ეს ხელოვნური წყვეტა, ჩვენ შეიძლებოდა ის შეგრძნება აღარ გვქონოდა, რაც პირველმა მადათოვმა მოგვიტანა. მაშინ როგორღაც მომეჩვენა, რომ ისეთ სხეულთან დავბრუნდი, რომელსაც მე მოწყვეტილი ვიყავი“ [ხარბედია, მადათოვის ტრილოგია ერთ წიგნად].

როგორია მადათოვის ტრილოგიის ენობრივი მახასიათებლები? მკითხველი კარგად ხედავს და აფასებს XIX საუკუნის მწერლისეულ ენას. პერსონაჟები სწორედ ისე საუბრობენ, როგორც რეალურად ისაუბრებდნენ. ხანდახან არის გრამატიკული უზუსტობები, არის ჟარგონი და დიალექტიზმი, მაგრამ ეს ყველაფერი ნაწარმოების ორგანული ნაწილია. აკა მორჩილაძე ერთ-ერთ ინტერვიუში წერს: ..მიყვარდა XIX საუკუნის ისტორია, შესაბამისად, იმ დროის გაზეთებს ვკითხულობდი ბევრს, ძალიან ბევრს, იმდროინდელი პრესა სულ ნომრების მიხედვით მაქვს შესწავლილი. შესაბამისად, ისე ვლაპარაკობდი კიდევაც, სასაცილოდ, იმ ენით. ანუ როცა დავწერე

წიგნი იმდროინდელ საქართველოზე, მივხვდი, რომ ეგრე უნდა დამეწერა, ანუ არანაირად არ მოვმზადებულვარ ამისთვის. საერთოდ, რომელ წიგნსაც როგორი ენა უხდება, ისე ვწერ“ [ჯელაძე,ჩემსსათაურებსმორგებულიაკამორჩილაძისპასუხები].

„მადათოვის ციკლის პროზა“ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აკა მორჩილაძის შემოქმედებაში.მწერლის წიაღსვლები ღრმა და არათანმიმდევრულია. ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინით რომ განვმარტოთ:„აკა მორჩილაძე და მისი მკითხველი ლიმინალურ ფაზაში იმყოფებიან, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. ასევე ჩანს განტოტვილი აზროვნება, ტექსტების სიმრავლე, ალუზია, ხშირად ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბავი ისეა ნაწარმოებში ჩასმული, რომ მკითხველი ვერ გრძნობს მთლიანობს რღვევას, რაც მწერლის ნიჭზე მეტყველებს“[გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011; 269].

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკა მორჩილაძემ „მადათოვის ტრილოგიაში“ გამორჩეული ტიპები დაგვიხატა, ისინი მთელი საუკუნის საქართველოს იტევენ და, ამავე დროს, სიახლის ნიშნებიც ეტყობათ. დაწყებული ხაფოს აღწერით, დამთავრებული პოსტმოდერნისტული ელემენტებით, ავტორმა სრული სიახლე შემოგვთავაზა,დაგვანახა ტფილისური კოლორიტის შექმნის საუკუნოვანი გზა. გვიჩვენა, როგორ იქცევა ჩვეულებრივი პერსონაჟი ტიპად.

II თავი90-იანი წლების თბილისელი ბიჭი

&2.1. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“

აკა მორჩილაძის შემოქმედება ყოველთვის იწვევდა ინტერესს. ეს განსაკუთრებით შეეხება მის რომანს „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. ნაწარმოები პირველად 1996 წელს დაიბეჭდა და საქართველოში ნომერ პირველ ბესტსელერადაც იქცა. იგი მოგვიანებით პიესადაც ადაპტირდა და სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დაიდგა.

ამ სპექტაკლის რეჟისორი, დავით ანდღულაძე, მიიჩნევს, რომ „აკა მორჩილაძის ნაწარმოებების სცენასა და ეკრანზე გაცოცხლება ქართველი მაყურებლისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ავტორს საინტერესო ტიპებს ხატავს და ამბებიც მეტად აქტუალურია. რეჟისორის მოსაზრებით, აკა მორჩილაძის პროზა ყველაზე სრულყოფილად კინოსპექტაკლს ,,მოიხდენს“[ხარშილაძე, ვფიქრობ, ყველაზესრულყოფილადაკამორჩილაძისპროზასკინოსპექტაკლიმოიხდენს]. ეს არის 90-იანი წლების თბილისური ტიპაჟის საუკეთესო ნიმუში და კოლორიტიც, შესაბამისად, პოპულარობაც აქედანაა გამომდინარე.

რამ განაპირობა ნაწარმოების ასეთი პოპულარობა? პირველ რიგში, ვფიქრობთ, იმან, რომ რომანის გმირები იმ დროის ტიპური თბილისელი ბიჭები არიან. ისინი ყოველდღიურად გვხვდებიან ქუჩაში, ჩვენ გვერდით და ჩვენთან ერთად ცხოვრობენ. მეორე მხრივ, ესაა მწერლის დიდი ნიჭი და უნარი რეალისტური გმირების საშუალებით გვანახოს როგორც იმ დროის თბილისი, ისე მთლიანად საქართველო.

რომანში წარმოდგენილი ტიპები XX საუკუნის 90-იანი წლების ახალგაზრდები არიან. შექმნილმა ვითარებამ ისინი ცხოვრების მიღმა დატოვა, ნაწილი განარკომანდა, ნაწილი გაიქცა, ვინც ეს არ გააკეთა, მძიმე ყოფაშია. ვერც არსებულ რეალობას ეგუებიან, ვერც რამეს ცვლიან -სწორედ ესაა მათი დეპრესიის წყაროც.

„ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ ორი ისტორია ცალ-ცალკე ვითარდება და მხოლოდ ბოლოს გადაკვეთს ერთმანეთს. პერსონაჟები -ზაზა და მამუკა, მაშინ უკავშირდებიან ერთმანეთს, როდესაც უკანასკნელი პირველს მოკლავს.

ზაზა სხვებისგან განსხვავებული ტიპია, მისი ყოველდღიურობა ამ „განსხვავებულობასთან“ ვერ თავსდება. რედაქციაში (სევდის სახლად წოდებულ ადგილას) საკმაოდ მოსაწყენ საქმეს აკეთებს, ირონიული და ცინიკურია მისი დამოკიდებულება „ირგვლივმოსაქმე“ ხალხის მიმართ. დანარჩენი მთხრობელები ზაზასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული პირები არიან, რომლებიც თავიანთი თხრობით ისევ მის ისტორიას ავსებენ. არის კი ზაზა ტიპური თბილისელი ბიჭი? ალბათ, ნაწილობრივ. ის ბევრს ფიქრობს არსებულ რეალობაზე.

საინტერესოა ადამიანთა ჯგუფების მისეული დაყოფა. როგორი იქნებოდა სოციალური გამოკითხვის შედეგი, თუ მას ვკითხავდით, რა არის მთავარი? ზაზას აზრით, პასუხი ორნაირი იქნება: „ერთი გეტყვის, აი ასე, აი, რომ და ძაან მოკლედ და ისა, რომ ... სამშობლო; „ძმებო და დებო, ჩემო საყვარელო ქართველებო, გავერთიანდეთ და იცით რა? მოდით ნუ გავაცინებთ მტერს, რომ მხარში და... ამოვუდგეთ ერთმანეთს“[მორჩილაძე, 2017; 11] ეს, როგორც ვხედავთ„„პატრიოტი კაცის“ დამოკიდებულებაა. რას აკეთებენ ამ გრძელ-გრძელი სადღეგრძელოს ავტორები რეალურად სამშობლოსთვის? ბევრს არაფერს. მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ, მუდამ იმის ცდაში არიან, სამშობლოსგან მიიღონ „ დამსახურებული ჯილდო“. მეორე მხარეს (ეს ე.წ. შავური შეფასება იქნებოდა), მათთვის მთავარია, „რო, ჩვენ ურთიერთგაგებაში გაგება, რო იყოს კაცური“[მორჩილაძე, 2017; 11] ასეთი ცხოვრებისეული შეფასებების ფონზე, რთულია ზაზას ირონია და ცინიზმი არ გადმოგედოს.

„სევდის სახლში“ მისულ ზაზას, მუდამ ერთი და იმავე „ცრუსაქმიანობით“ დაკავებული ადამიანები ხვდებიან, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მუდამ მხიარულია (გარეგნული იერი) და მუდამ ახერხებს მათთან საერთო ენის გამონახვას. როგორც თვითონ შენიშნავს:„არის ქართველებში ერთგვარი თეატრალური, ეს გაცვეთილი და

გამოცვეთილი, ხიბლი. თავის მოწონება შეგვიძლია“[მორჩილაძე, 2017; 16]. ზაზას ეს უდავოდ კარგად გამოსდის, მისით ყველა მოხიბლულია.

ამ ტიპის მთავარი შტრიხი მისი ხასიათის ორგვარობაა, რაც ჯერ კიდევ ხაფოზე საუბრისას აღვნიშნეთ და ზაზას შემთხვევაშიც შეგვიძლია იგივე ვთქვათ. ისინი მუდამ ნიღაბს ატარებენ, რადგან ცხოვრება თამაშია, რომელიც ასეთ წესებს სთავაზობს მათ. მიუხედავად აკა მორჩილაძის უნარისა, გვიჩვენოს პერსონაჟი მრავალმხრივიხასიათი, ბნელი და ნათელი მხარეების ჩვენება ლიტერატურაში არ ახალია. იგივე შემთხვევას ვხვდებითსხვაგანც, მაგრამ, განსხვავებით ალექსისგან,(მექანიკური ფორთოხალი) ზაზას ,,ბნელი მხარე“ არ გააჩნია. ნიღაბი, როგორც ტიციანი შენიშნავდა, ქართველისთვის ესოდენ საყვარელი ნივთი, პერსონაჟს ცხოვრებამ მოარგო. მას, სხვა სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაში, ექნებოდა საშუალება ყოფილიყო ბავშვურად ლაღი, თბილი და არც ირონიული რეპლიკები დასჭირდებოდა.

სოციალისტური ეპოქა თითქმის დასრულდა, ,,რკინის ფარდის“ მიღმა სრულიად ახალი პერსპექტივები და საშუალებები იშლება. ახალგაღვიძებულიზაზასცნობიერებაში პირველი -ნიცაში წასვლა შემოდის. ესეც გაქცევის, სხვაგან კარგად ყოფნის გზაა. „ნიცაში მინდა“ ეს ფრაზა ხშირად ჩნდება მის ფიქრებში. გმირის სურვილი -გაიქცეს, თითქოს არ შეესაბამება მის დამოკიდებულებას საზღვარგარეთ მყოფი ნაცნობების მიმართ. ვფიქრობთ, ესეც ერთგვარი თავდაცვაა, სახუმაროდ გაიხადო ის, რაც გეოცნებება.

გაქცევის სურვილი ქართულ ლიტერატურაში აკა მორჩილაძის გარდა შთამბეჭდავად გამოხატა დათო ტურაშვილმა. ,,ჯინსების თაობა“ დოკუმენტურ მასალაზე დამყარებული პროზაა, რომელიც გვიჩვენებს თბილისური ყოფის აუტანლობას, სურვილს, სადღაც, შორს, სხვაგან იპოვო ბედნიერება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორმა მწერალმა ნაწარმოებებში (,,გასეირნება ყარაბაღში“, ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ,,ჯინსების თაობა“) გააერთიანა 90-იანი წლების თბილისის სიმძიმე, თბილისელი ბიჭების ტიპი, რომელთა ხსნის ერთადერთი გზა გაქცევაა.

გაქცევის მძაფრ სურვილთან ერთად ავტორი რომანში „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ გვიჩვენებს უკვე „გაქცეულთა“ ბედს. სხვადასხვა მიზეზით და მიზნით

ინგლისში მოხვედრილი ქართველები ახალ ცხოვრებას იწყებენ. ეს გზა ყოველთვის არ არის ია-ვარდით მოფენილი-შიმშილობენ, ენას ვერ იგებენ, უცხოა ყოფითი დეტალებიც. უკვე „გაშინაურებულები“ არ ივიწყებენ მშობლიურ სიტუაციებს და იქაც ისევე „კაი ბიჭობენ“. რამ გამოიწვია გაქცევის მუდმივი ლტოლვა? „ მაშინ ყველა ერთმანეთს ესროდა და კიდევ, მთელს ჩვენს ცხოვრებას. სროლა იყო, მაგრამ ეს საზიზღარი ცხოვრება, მაინც არ კვდებოდა“ [მორჩილაძე, 2003; 8]

აკა მორჩილაძე, დოკუმენტურ-პროზაულ ნაწარმოებში ,,ჩრდილი გზაზე“, განიხილავს არჩილ სულაკაური მოთხრობას ,,ლუკა“ და საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: ,,როცა მამები ომში არიან, ქალაქი ბიჭებისაა“ [მორჩილაძე, 2014; 96]. ეს შეფასება შედარებით ადრეული ხანის თბილისს ეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისს არც შემდეგ მოჰკლებია ომები, შესაბამისად, ქალაქი ისევ ბიჭებისაა. შეუძლებელია კრიმინალურ სამყაროს გაექცე: ,,ქალაქი ბიჭების ხელში იყო არა რაიმე ფორმალური, ან არაფორმალური, თუნდაც ბანდიტური, ქუჩური, ქურდული თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ მამები შინ არ იყვნენ“ [მორჩილაძე, 2014; 103].

ნაწარმოებში „ევროპული სულის“ საოცნებო მხარის მატარებელია სიგარეტი „მაგნა“. ზაზა მთელი რომანის განმავლობაში ცდილობს მის შეძენას, მაგრამ უშედეგოდ. არასდროს ავიწყდება, რომ ,,მაგნა“ ისევ ვერ იყიდა. ანუ სიგარეტის ვერშეძენაში კიდევ ერთხელ იკვეთება ვერახდენილი სურვილები.

პეტრუჩიო - ზაზას მეგობარია, იგი სულ სხვა ტიპია- „სულ სახლშია“, გაყინულ სასახლეში ზის და ბოლშევიკი ბაბუის არქივს იცავს. ეს ტიპიც, ზაზასთან ერთად, მაშინდელი თბილისის სახეა. დეპრესიული, ცხოვრებით დაღლილი, წარსულის ლანდებთან ერთად მცხოვრები პეტრუჩიო, რომლის საყვარელი მეგობარიც საწოლია. საინტერესოა მისი დაკვირვება ქუჩის ძაღლებზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში მოხდა, იყო ავტორიტეტთა გადაფასება და მათი „კვარცხლბეკიდან“ ჩამოსვლა. ყოველგვარი ღირებულების მიმართ დაეჭვება ბუნებრივია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ პოლიტიკურ-სოციალურ სიტუაციასთან, როგორიც იმ დროის საქართველოში იყო: „ავტორიტეტთა გადაფასება ამ პროცესის შემადგენელი ნაწილიცაა, თუმცა

გადაფასება ხდება ესთეტიკური ნიშნითაც ან, უბრალოდ იმ ნიშნით, რომ ავტორიტეტთა ფუნქცია შესრულებულად და ამოწურულად ცხადდება“ [წიფურია, 2016; 130].

პოსტკომუნისტურმა ხანამ მამების თაობის დემითოლოგიზაცია შეძლო. ამის ნათელი მაგალითია ზაზას და პეტრუჩიოს დამოკიდებულება უკანასკნელის ბოლშევიკი ბაბუის მიმართ. ასეთივე დემითოლოგიზებულია გიუშკის დამოკიდებულება მამამისის მიმართ. ყმაწვილი იძულებულია აღიარის მისი ავტორიტეტი, მაგრამ ეს იძულება მასში მხოლოდ აგრესიას იწვევს. თენგიზ მიქატაძისა და მისი თმაშევერცხლილი ძმაკაცების ,,საქმიანობა“ მთელი მათი ყოფა, გიუშკის ირონიის საფუძვლად უქცევია.

აკა მორჩილაძე, თავისთავად ცხადია, არ არის პირველი ავტორი, რომელიც საბჭოთა ეპოქის რეჟიმის კრიტიკითაა დაკავებული. ამას ის პერსონაჟების სახის ჩვენებით, მათი საქციელის აღწერით ახერხებს. ამდენად, პერსონაჟების წარმოდგენას დიდი როლი აქვს და მის ნაწარმოებებში განსხვავებული კუთხითაა წარმოდგენილი.

რომანის არც თუ ისე მრავალფეროვან პერსონაჟთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქეთა. იგი XX საუკუნის ქალის ტიპსწარმოადგენს. მასში გაერთიანებულია ფემინისტური იდეები, დამოუკიდებლობის სურვილი, სიყვარულის განცდა და შეუგუებლობა არსებულის მიმართ. აკა მორჩილაძე, როგორც აღვნიშნეთ, დიდად ,,არ ინტერესდება“ ქალთა სახეებით, მაგრამ ქეთა თბილისური ტიპია: ეს ის გმირია,რომლისთვის გვერდის ავლა უკვე შეუძლებელი იქნებოდა. მასთან ზაზა აღარ არის ირონიული თუ ცინიკური და მეტ-ნაკლებად ყველაზე ,,მართალია“. ,,იცი როგორ მომიარე? აი, სახურავის ბინადარ კარლსონს რომ უვლის თავისი ძმაკაცი, შოკოლადებისგან რომ უკეთებს წამალს, ყელზე რომ შარფს მოახვევს და საბანს რომ უსწორებს, მე ვიკრუსუნებ, შენ თერმომეტრი დაბერტყე“[მორჩილაძე, 2017; 145].

ზაზას ეს ფრაზები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მისი პიროვნების მიუსაფრობას, სურვილებს, იყო ბავშვივით მოვლილი.

ტიპური თბილისელი ბიჭის სახეს წარმოადგენს ზაზას უახლოესი მეგობარი კაკუჩა. თუმცა ის მუდამ ქეიფისთვის მზად მყოფია, მეგობრებისთვის თავდადებული

გმირია, რომელიც არც ქუჩაში დაჭრილს დატოვებს უპატრონოდ. კაკუჩა თბილისელი ბიჭის გადმოსახედიდან აფასებს სიგარეტის ყიდვის ადგილსაც კი: ,,ვაკეში ყიდვას სხვა მუღამი აქვს. აქ რომ ყიდულობ, ესე იგი კარგად ხარ. განსაკუთრებით ,,ყაზბეგთან" რომ ყიდულობ. ყველაფერი ძალიან ძვირი,თითქმის ორმაგი ფასი ადევს და რო ყიდულობ, კლიენტი ხარ. პრესტიჟი მოკლედ" [მორჩილაძე, 2017; 47].

არ ახალია, რომ თბილისი მხოლოდ ქალაქის დონეზე კი არ არის პრესტიჟული, არამედ იგი უბნებად იყოფა. მწერალი არაერთხელ უსვამს ხაზს ამ გარემოებას რომანში,,ქაღალდის ტყვია", რომლის მეორე სახელია -,,ვერა-ვაკური ხალხური ზღაპარი". სათაურის სიმბოლიკა მიგვანიშნებს, რომ ვერა-ვაკურ ზღაპარში კიდევ ერთხელ ახსნილია როგორც ქალაქური ყოფის მრავალფეროვნება, ისე ლეგენდად, ზღაპრად ქცეული უბნების დაყოფა. რომანის მთავარი გმირიც ვაკელი გოგონას ,,დასამცირებლად" ამბობს - თქვენ საბურთალოელი გოგოები გჯობიან, ისინი უფრო უბრალოები არიან.

ზაზა და კაკუჩა ორი განსხვავებული ტიპია. ზაზასთან კაკუჩა აღარც ბრაზიანია და აღარც ბოღმა. მეგობრებს ერთმანეთისათვის გულის გადაშლა და რამეების მტკიცება არ სჭირდებათ. როგორც კაკუჩა ამბობს: ,,ერთმანეთისას ვხვდებოდით და გაგეცინება, სულ ჩვეულებრივ რაღაცეებზე ვლაპარაკობდით. ამბებს ვყვებოდით. უბრალო ამბებს. ეს ფუტლიარი ბაზარი კი არ იყო. უბრალოდ, ეგრე ვიყავით და მაგის უკან, გვესმოდა ერთმანეთის" [მორჩილაძე, 2017; 48].

თბილისელი ტიპის და თბილისური კოლორიტის ახსნის პროცესში, ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდია ,,ბობოლას" მიერ კაცის დაჭრის მონაკვეთი. კონფლიქტი სიგარეტის ღერის გამო დაიწყო. საბოლოოდ კი კინაღამ მკვლელობით დასრულდა. ვფიქრობთ, თბილისის ქაოსური ცხოვრებისა და ნგრევის სურათს ეს ეპიზოდი კარგად წარმოაჩენს.

თბილისში ასევე შეხვდებით თაზოს, რომელიც მუდამ სპორტზე ლაპარაკობს და კალათბურთისა და ფეხბურთის პერსპექტივებს გვიხატავს.

ვატოს, რომელიც ,,ისეთ წამალზე ზის, რომლის სახელის დამახსოვრებას ერთი თვე უნდა“. საბოლოოდ ეს ყველაფერი აჩენს გაქცევის სურვილს და ამიტომაცაა ,,ნიცაში მინდა“ ზაზას ცხოვრების აუხდენელი მიზანი.

საინტერესოა პეტრუჩიოს კვლევა ქუჩის ძაღლების შესახებ. ეს ,,ნაშრომი“ მაწანწალა ძაღლების ჯგროდ ცხოვრებასა და მათი ცხოვრების წესზეა. შესაძლებელია ეს მოსაზრებები განვიხილოთ ქალაქური ცხოვრების მეტაფორად. ,,ცალკე მდგომი“ უფრო ძლიერი და გავლენიანი პირები, რომელთაც არავის დახმარება სჭირდებათ და, მეორეს მხრივ, მუდამ ხროვაში ყოფნის სურვილით შეპყრობილი ადამიანები.

,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ ავტორის მიერ დახატული ტიპები, მართალია ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან, მაგრამ ყველას აერთიანებს სურვილი ერთად ყოფნისა. გმირები ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან და ცალ-ცალკე თავს უიმედოდ, უბედურად გრძნობენ.

,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების“ სიუჟეტსზაზასა და მამუკას- თხრობა აერთიანებს. მამუკა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან კიდევ ერთი თბილისელი ბიჭის ცხოვრებას გვიხატავს. ძმაკაცის მკვლელის დასჯას მამუკა საკუთარი ცხოვრების მიზნად გადააქცევს. მან იცის, რომ ამის ბოლო თვითმკვლელობაა. ეს ორმაგი მკვლელობა მამუკას გონებაში მუდმივად ტრიალებს, საქმეში ჩართულია ნარკოტიკებიც. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ყველას დაღუპვას უქადის. აგრესიული, ,,დათუშკისსულისათვის“ შურისმაძიებელი მამუკა საღ აზრს კარგავს და უდანაშაულო ზაზას კლავს.

ვფიქრობ, ამ თავის დასასრულის საუკეთესო შეჯამება იქნება ზაზას დეტექტიური ლექსი პროზად, რომელიც იდეალურად აღწერს იმ დროის თბილსს:

,,მოვა ზაფხული და წყნეთის გზაზე აკაკანდება ავტომატი. მერსედესი მოითხვრება სისხლით. სახეს დასერავს შუშის ნამსხვრევები და კოკა-კოლას ბოთლებს გადმოყრიან მანქანის ფანჯრიდან ხევში“... [მორჩილაძე, 2017; 148].

ეს არის რომანში დახატული ტიპების ცხოვრების დასასრული, თუ სადმე არ გაასწრეს და ქვეყნიდან არ გავიდნენ.

&2.2. „მოგზაურობა ყარაბაღში“

აკა მორჩილაძე 25 წლის ასაკში წერს და აქვეყნებს თავის პირველ რომანს „გასეირნება ყარაბაღში“. ამ რომანს არ გამოუწვევია საზოგადოების და კრიტიკოსთა დიდი დაინტერესება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იმის ბრალი არაა, რომ ავტორმა არარეალისტური პერსონაჟები შემოგვთავაზა, ან საკითხებია არააქტუალური. ამ არაპოპულარობას ლალი ავალიანი საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური კრიზისით ხსნის:,,90-იან წლებში კულტურული ღირებულებები, ეკონომიური სიდუხჭირე საგრძნობლად უგულებელყოფილი იყო, რადგან ქვეყანა პოლიტიკურ ქაოსში იმყოფებოდა. გამოდიოდა თითზე ჩამოსათვლელი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი, და წიგნებიც კეთილმოსურნეთა თანადგომით და შეწევნით იბეჭდებოდა“[ავალიანი, 2005; 143].

რომანის მეორე გამოცემა 2004 წელს განხორციელდა. კრებულის შესავალში ავტორი წერს: „წიგნში ბევრი ცუდი სიტყვაა, ესეცკარგად მახსოვს, ეს ცუდი სიტყვებიც არსად წასულა. წიგნში ბევრი აგრესია და ცუდი ამბავია, არც ესენი გამქრალან“ [მორჩილაძე, 2004; 5]. ამ სიტყვებით დასტურდება ის რასაც ნებისმიერი მკითხველი თავადაც შეამჩნევდა რომანის ყველა გმირი აგრესიული, მუდამ გაღიზიანებული და დაძაბულია. ამ ყველაფერს ერთი მხრივ, განაპირობებს იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ თავად გმირების ქაოსური, უმიზნო ცხოვრება.

,,მოგზაურობა ყარაბახში“ გვთავაზობს თბილისელი ბიჭების მთელ სპექტრს, რომელმაც განსაზღვრა არა მხოლოდ ეს ხანა, არამედ 90-იანი წლების მთელი ეპოქა საქართველოში.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გიო მიქატაძეა, რომელსაც, კონსერვების ბიზნესით გამდიდრებული მამა, თენგიზ მიქატაძე, აცხოვრებს. ამ ორ ტიპს შორის

მუდმივი დაპირისპირებაა, რასაც თაობათა შორის ბრძოლაც შეგვიძლია ვუწოდოთ. გიუშკი ვერ ეგუება უკვე თმაშევერცხლილი თენგიზასა და მისი ძმაკაცების წესებს და ცხოვრების გზას, მაგრამ, სამწუხაროდ ვერაფერს აკეთებს მის შესაცვლელად. გიასთვისმიუღებელია ,,მამათა" ყოყოჩობა, სნობიზმი და ფარისევლობა. გიუშკის აღიზიანებს თენგიზის დამოკიდებულება ხუთი წლის ირაკლისთან, ,,ვიდეობავშვთან", რომელმაც არაფერი იცის უცხოური ფილმებისა და შოკოლადების გარდა. ირაკლი კიდევ ერთი დაღუპული ახალი თაობის ტიპია, რომელიც მამის მიერ განებივრებული, ვერასოდეს შესძლებს იქცეს ღირსეულ კაცად. გიას ცხოვრებისეული გამოფხიზლება ყარაბაღში მოხდა. გამოფხიზლდება კი, ირაკლი. ამას დრო გვიჩვენებს.

როგორც ავტორივე აფასებს, „გიუშკი თითქოს მიხვედრილია, რომ თავისუფალი კაცი უნდა იყოს, მაგრამ არ იცის ეს საქმე როგორ ხერხდება"[მორჩილაძე, 2004; 6].

გია მიქატაძეს არც ბევრი წიგნი აქვს წაკითხული და არც რაიმე განათლება მიიღო, მისი სტუდენტობაც მამის დახმარებით მიმდინარეობს: ,,უბრალოდ, მან არ იცის, რომ სამყარო ძალიან დიდია და გამოუმშვიდობებლად შეგიძლია წახვიდე სადმე, არა მხოლოდ ფეხით, არამედ ფიქრითაც." [მორჩილაძე, 2004; 6].

გიუშკის ცხოვრებაში, მთელს ამ სიცარიელესა და ქაოსში, ერთ ნათელ წერტილად ჩნდება იანა, მეძავი გოგონა, რომელმაც მოახერხა გმირის გამხნევება და მომავალზე ფიქრიც კი დააწყებინა. ზამთრის ჩიტივით მოაჯირთან მიყუჟული გოგონა მთლიანად ცვლის გმირის დამოკიდებულებებს: ,,გიუშკი, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ თენგიზი მაგას არ მოგაყვანინებს"- ნანას ეს ფრაზა სიმართლითაა გაჟღენთილი . არავინ შეეგუება იანას ცოლად მოყვანას - არც მამა და არც მეგობრები, არც შეეგუვნენ. გიას მიქატაძეს არა აქვს ბრძოლის უნარი, იგი არა მხოლოდ ქვეყნის გადარჩენისთვის ვერ იბრძვის, არამედ საკუთარ სიყვარულსაც კი ვერ დაიცავს.

90-იან წლებში ზოგნი განსაკუთრებულად აქტიურები ხდებიან, იბრძვიან და ხელში იარაღმომარჯვებულები ცდილობენ შექმნან ახალი რეალობა. მათ საპირისპიროდ თბილისელი ბიჭები ვერ გაიზრდებიან და მხოლოდ და მხოლოდ დაიბოღმებიან.

,,ამ მშვენიერ ქალაქში ბავშვის სიცოცხლეზე და ადამიანების ბედნიერებაზე, გოგოსა და ბიჭის სიყვარულზე მთავარია თურმე წესები“ [მორჩილაძე, 2004; 22] მუდმივი მორჩილება წესებისა, არა მხოლოდ გიუშკის, არამედ ბევრ თბილისელ ბიჭს ,,შეიწირავს“. ცხოვრებისეული კანონები, რომლებიც თბილისმა მიიღო, მძიმე ტვირთად აწვება ახალგაზრდობას. ისინი კარგავენ თავისუფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ გიუშკი, როგორც კი გაბრაზდება, გონებაში სულ გოგლიკოს აგინებს, მხოლოდ ის შეხვდება შეგნებულად მათი სიყვარულის ისტორიას. დანარჩენი ,,კაი ბიჭები“ მეძავი გოგონასა და ,,ბობოლას შვილის“ ურთიერთობას თუ სამარცხვინოდ თვლიან, გოგლიკო ჩუმადაა და კმაყოფილი იღიმის. ამით ავტორმა, ვფიქრობ, გვიჩვენა ერთი მხრივ, თბილისური წესების და კანონების დამცველი მეგობრები, ხოლო მეორე მხრივ, თითქოს ინდიფერენტული, მაგრამ ყველაზე გამგები გოგლიკო.

ვინ არის და როგორია გოგლიკო? ვფიქრობთ, ამ ტიპმა გააერთიანა მაშინდელი თბილისის ყველა პრობლემა-ნარკოტიკები, უფულობა, უპატრონობა, უიმედობა, გაუნათლებლობა. გოგლიკოს იმის საშუალებაც კი არ აქვს ტანისამოსი იყიდოს, სამაგიეროდ, ყავს მეგობრები, რომლებიც მუდამ ეხმარებიან. საბოლოოდ,მას არც რამის გაკეთება შეუძლია და არც იცის რაიმე სრულყოფილად. აჩიკო ყიფიანის წამალს დახარბებულს, მიჰყავს გიუშკი გაურკვეველი მიმართულებით და პრობლემებიც აქედან იწყება. გოგლიკოს რეალურ ცხოვრებაზე არანირი წარმოდეგნა არ აქვს, მისი ფიქრები ფილმებიდან მოდის. „კროსტნიატეცის“ ტიპები მრავლად არიან ავტორის შემოქმედებაში. ძველი ბიჭები არ ტოვებენ თბილისს და, შესაბამისად, არც აკა მორჩილაძე. მის ერთ-ერთ რომანს პირდაპირ ასე ჰქვია -„მოგონებები ჩემი მეგობარი კაი ბიჭის შესახებ“. „მე და გოგლიკო არასდროს არაფერს ვწყვეტდით, მე ვწყვეტდი და გოგლიკოს თუ სხვანაირად უნდოდა, დამეღრიჯებოდა და ისე ვაკეთებდით, როგორც ეს მოისურვებდა“ [მორჩილაძე, 2004;57].გოგლიკოს შეუძლია დაარწმუნოს არა მხოლოდ გიუშკი, არამედ ბევრი სხვა ვინმეც მათ გარშემო. ლაპარაკს და ერთგვარ დიპლომატიას ვერ დაუკარგავ, როდესაც საქმე მისთვის საინტერესოს -წამალს ეხება. სხვა დროს კი იგი ბავშვია, ვერ გაზრდილი ბიჭი, რომელიც ტყვეობის შემდეგ ბებიის შემწვარ ერბოკვერცხს შეჭამს და მეორე დღემდე იძინებს.

როგორია იმ დროის თბილისი? გიუშკი ასეთ აღწერას გვთავაზობს: ,,ათი ძველი ბიჭი შეიკრიბება ბირჟაზე, დაირქმევს ,,დელტას“ და რაღაცას. და მიადგება კომენდატურას ზვიადის გინებით. დაურიგებს კომენდატურა ავტომატებს და მიდიიიავოეე“ [მორჩილაძე, 2004; 29].

ეს ნამდვილად რეალისტური შეფასებაა, რადგან ნაწარმოები თბილისისა და აფხაზეთის ომებს შორისაა დაწერილი. ანუ ცხინვალის ომის მიმდინარეობის ბოლო ხანებში.

ავტორისავე შეფასებით, ამ ეპოქის მთავარ ნიშანს აგრესია წარმოადგენს. აგრესია ყველასა და ყველაფრის მიმართ, რომელიც გიუშკისნაირ გმირებს მოქმედებისაკენ, კი არა, პასიურობისაკენ უბიძგებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ,,მოგზაურობა ყარაბაღში“ პირველ პირშია დაწერილი, ყველა პერსონაჟს გია მიქატაძის გადმოსახედიდან ვეცნობით.

როგორც ერთ-ერთი მკითხველი შენიშნავს, ეს პერსონაჟი რომანის ერთდროულად ანტაგონისტიცაა და პროტაგონისტიც. გია არ არის ცუდი ადამიანი, სანდოა, მზრუნველი, მოსიყვარულე და თავდადებული, მაგრამ ამავდროულად ყველა და ყველაფერი სძულს. ძველბიჭობის წესები, თბილისური კანონები, მამის ავტორიტეტი, ჩაცუცქული მეგობრები მუდმივად ზღუდავენ, ჩარჩოებში აქცევენ მას. გარემოებათა გამო, რეალურად ტყვეობაში მოქცეული, განსაკუთრებული სიმწვავით შეიგრძნობს ,,ოქროს გალიას“. აკი ამბობს კიდეც: ,,ახლაც ვერ გავიგე, რაფიკას ტყვეობა ჯობდა, თუ აქ გდება, თენგიზა მიქატაძის ტერიტორიაზე მოღვაწეობა. ვერ გავიგე, ვერ გავიგე, ვერ გავიგე“ [მორჩილაძე, 2004; 159]. თბილისში მყოფი გიუშკი მამის ტყვეობაში გრძნობს თავს. რაფიკასთან მოხვედრილი კი უკვე რეალური ტყვეა. მთელი ცხოვრება მარტო მყოფი, ახლა ფიზიკურადაც მარტოა, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მოწყვეტილი. გარშემო ნამდვილი ომია და ისიც ამ ომის უნებლიე მონაწილე ხდება: ,,ყარაბაღისა და თბილისის გარემო თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება, სინამდვილეში კი ორივე იდენტურად ექცევა გიოს- ორივე მოძალადეა თავისი სიყალბით, მოჩვენებითობითა და ხანდახან უხილავი, მაგრამ მძლავრი სისასტიკით“[დეკანოსიძე, აკა მორჩილაძის ,,მოგზაურობა კინოში]

რა ზღუდავს მას? ეს ერთი მხრივ, საბჭოთა გისოსებია, მეორე მხრივ - გაუნათლებლობა, მესამე მხრივ, სტერეოტიპები და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ნაწარმოების ბოლოს ავტორი არ გვაძლევს არავითარ ,,რეცეპტს" როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ ვითარებას. ისევე როგორც ,,მადათოვსა" და ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში", ამ ნაწარმოებშიც, აკა მორჩილაძე ორმაგ ფინალს გვთავაზობს. ამით ჩვენ, მკითხველებს ჩვენეული დასასრულის მოფიქრების საშუალებასგვაძლევს, აკა მორჩილაძე თანაავტორობას გვთავაზობს.

რომანშიქალის ტიპს წარმოადგენს იანა, მისი სახე საკმაოდ მკრთალია, მაგრამ არა გიუშკისთვის. არაფერი ვიცით მისი წარსულის შესახებ. აწმყოშიც კი იგი დაბალ ხმაზე იტყვის ,,მე წავალ", და არავინ იცის სად მიდის და სადაც წავა, როგორ იქნება. განსხვავებით იმ ეპოქის ქალებისგან, იანა არც მომავალის გეგმებით აწუხებს ვინმეს, მისი და გიას ურთიერთობაში მთავარი სიყვარულია და არა ქორწინების მოწმობა. იანა ავტორის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ტიპია- ნაზი, ,,ზამთრის ჩიტივით მობუზული", თბილი. იანა გიუშკიმ განსხვავებულ ვითარებაში გაიცნო. კითხვისას საერთოდ გავიწყდება იანას მეძავობა, რადგან მისი ბედი თავად ცხოვრებამ განსაზღვრა.

იანას ნაწარმოებში გამოჩენის უმთავრესი მიზეზია გვიჩვენოს თბილისელი ბიჭების დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ. სწორედ ამ პერსონაჟთან მიმართებაში იკვეთებიან გიუშკიც, გოგლიკოც, თენგიზაც. გიუშკის პიროვნებაში ჯერ კიდევ არსებობს ის ნაპერწკალი, რომელიც სხვებმა დაკარგეს. გარემომ ბიჭები დაუნდობელ, სიყვარულისუცოდინარ, გამგელებულ რობოტებად აქცია. იანა გიას სულში მკრთალად შემორჩენილ სიკეთეს, სიყვარულსა და სიმშვიდეს აღვივებს. ჩვენი ინტერესიც იანასადმი იმითაა განპირობებული, რომ დავინახოთ თბილისელი ბიჭების შეხედულებები, მათთან ურთიერთობაში გაშლილი თბილისური წესები და კანონები. სოციუმთან დაპირისპირებას გიუშკი ვერ ახერხებს, მართალია ამოვარდნილია ჩვეული ცხოვრების დინებიდან, მაგრამ ეს „ამოვარდნა" მის ბრძოლისუნარიანობას არ გულისხმობს. იგი ყველაფერს კარგავს.

თითქოს იანას საპირისპიროდ, ავტორს შემოყავს ბათუმში ძალად გათხოვილი გოგონა, რომელიც რამდენიმე წელიწადში დაბერებული და გატეხილი მოეჩვენებათ

ბიჭებს. ცვანციკა, ვფიქრობ, თავის თავში აერთიანებს ,,ძალით გათხოვილთა“ იმ ტიპს, რომელთა ცხოვრებაც ზემოთ უკვე მრავალგზის ნახსენებ სტერეოტიპებსა და წესებს ეწირება.

ტყვეობაში მყოფი გიუშკი გაიცნობს ადგილობრივ მხატვარ ვალერას. ვალერა, ლოთი მხატვარი,მიქატაძეში განსხვავებულ გრძნობებს აღძრავს. ერთი მხრივ, ,,კორეში“ აგონებს ძველ ბიჭს, მაგრამ ჩვეულებრივ ძველ ბიჭს კი არა, არამედ ამერიკული ფილმების ტიპაჟს.

გიუშკი ხვდება, რომ თუ აქ დარჩება, ვალერასნაირ პერსონად გადაიქცევა და ამ ცხოვრებასა და ოჯახს გამოქცეული კაცისნაირობა მას არ სურს, მაგრამ, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ერთი მნიშვნელოვანი რამ ავიწყდება: ,,რაც არ უნდა შორს წახვიდე, შენს ცხოვრებას ვერ დაემალები, როგორც გჭამდნენ სიონის ზარების ხმის ქვეშ, ისე შეგჭამენ სხვაგანაც, არ დაგანებებენ“ [მორჩილაძე, 2004; 107].

გიუშკის ფიქრებში იანა მაშინ ჩნდება, როდესაც აღარაფრის იმედი აქვს და ეს იანასეული ზმანება ქმედებას აიძულებს. როგორც აღვნიშნეთ, გოგნას სახე ნაწარმოებში საკმაოდ მკრთალადაა დახატული და მას მხოლოდ გიუშკის სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე ვეცნობით.

იანა სინამდვილეში (უკვე ზმანებად ქცეულიც) სიყვარულის, სიმშვიდის, იმედის მომტანია გია მიქატაძისთვის. სწორედ ამიტომაც ნაწარმოების ბოლოს თენგიზ მიქატაძედ ქცეული გიუშკის შინაგანი მე იანას დააბრუნებს. ეს ხედვის განსხვავებული რაკურსია, რადგან ავტორს მშვენივრად მოეხსენება, რომ გიუშკის ხსნა მხოლოდ იანას შეუძლია.

კარგი ოჯახის შვილი-ცვანციკასმშობლების მიზანი მდიდარი, ბუნჩულა სიძის პოვნაა. იპოვიან კიდეც, მაგრამ შვილის ბედნიერების ფასად.

მიგვაჩნია, რომ აკა მორჩილაძე, თითქოს გაკვრით ხსენებულ ამ ამბავს, შემთხვევით არ ახსენებს. თავად ავტორიც იმ ეპოქის შვილია, რომელზეც წერს, და მის გარშემოც მრავლად იქნებოდნენ ცვანციკას მსგავსნი.

სად არის ხსნა გია მიქატაძისნაირიტიპებისთვის? ეს გზა საკუთარ თავთან ბრძოლაზე გადის. დაპირისპირებასთან, მწვავედ გალაშქრებასთან, იმ წესებთან,რომლებიც ასე ძალიან აწუხებენ. ომი საკუთარ თავთან ახალი ცხოვრების დასაწყისს უწინასწარმეტყველებს. საინტერესოა ისიც, რომ თუმცაგოგლიკო და გიუშკი ძლიერ განსხვავდებული ტიპებია, მაგრამ საბოლოოდ, გიუშკი საკუთარ თავს გოგლიკოდ გარდაქმნის. მარტო დარჩენილი, უიმედო, თითქმის წარმოუდგენელ ბრძოლას წამოიწყებს და,მისთისვე გასაკვირად, ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს.

ჩვენი დაკვირვებით, აკა მორჩილაძის რომანებში რამდენიმე ტიპი თითქოს მეორდება. მაგალითისთვის განვიხილოთ ზაზა- ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებიდან“, გიუშკი -,,გასეირნება ყარაბაღიდან“ და მწერალი- ,,ქაღალდის ტყვიიდან“.

სამივე ამ ტიპს ერთი მთავარი ნიშანი აერთიანებს - ეს არის ვერშემდგარი მწერლობა, პოეტობა. ზაზა ,,სევდის სახლში“ მუშაობისას შემოქმედებითად ვერაფერს აკეთებს. გიუშკისაც თითქოს ,,მუზები დაუფრთხა“. ,,ქაღალდის ტყვია“ კი გვიჩვენებს ვერშემდგარ მწერალს, რომელიც თან თითქოს რაღაცას წერს კიდეც, მაგრამ ღირებულს ვერაფერს ქმნის. როდესაც ვერშემდგარ მწერლებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გაგვახსენდეს მადათოვის ტრილოგიის მესამე ნაწილის-,,ვეშაპი მადათოვზე“ მთავარი პერსონაჟი, რომელიც წიგნაკებს წერს, მაგრამ ნამდვილ ლიტერატურას ვერ და არ ქმნის. ვფიქრობთ, ვერ შემდგარ ხელოვანებს ეპოქის კომპლექსებიც აწუხებთ. იმ დროის საქართველოში ლიტერატურა არავის სჭირდება, ამიტომ მწერალიც-გამოუსადეგარ პიროვნება იქცევა. აკა მორჩილაძე ამ შტრიხის განმეორებით გვახსენებს, რომ მაშინდელი ადამიანის პირადი სურვილები და ზოგადად ლიტერატურა ვერ თავსდება.

ყველაფერი მწერლის ცხოვრებიდან მომდინარეობს. ვფიქრობთ, აკა მორჩილაძეც, ამ განმეორებად გმირებში, ნაწილობრივ, თავის თავსაც მოიაზრებს. თავად ავტორი, ერთ-ერთ ინტერვიუში შენიშნავს, რომ ,,სარბიელში“ მუშაობის დროს, ყველაზე საინტერესო, რაც კი დაუწერია, ეს იყო ნეკროლოგები. იგი იხსენებს ჯოდი მაჯიოს, დიდ ბეისბოლისტისა და ამერიკელი სპორტსმენის, გარდაცვალების ამბავს და ნეკროლოგის წერას დიდ შემოქმედებით პროცესს უწოდებს.

როდესაც ხაფოსა და იმ დროის თბილისურ კოლორიტზე ვმსჯელობდით, შევნიშნეთ, რომ რელიგიისადმი მათი დამოკიდებულება, მსუბუქად რომ ვთქვათ, სპეციფიურია. რელიგიური გაუნათლებლობა სხვა რომანებშიც იჩენს თავს. გიუშკი ამბობს, რომ მისი ცოდნა რელიგიაზე ცნობილი მიუზიკლის- ,,იესო ქრისტე სუპერვარსკვლავის“ ყურებით შემოიფარგლება, ხოლო ,,ქაღალდის ტყვიაში“ ავტორს უკვე შემოჰყავს სასულიერო პირი -მამა ონოსიფორე. სახელის უნიკალურობა, ვფიქრობთ, კიდევ ერთი ხაზგასმაა რწმენის უნიკალურობისაც იმ დროის თბილისში.

ძალიან საინტერესოა გია მიქატაძისეული თბილისის შეფასება. რატომღაც, მას ეს ქალაქი სტადიონის საპირფარეშოს აგონებს. თითქოს ერთი კაბინიდან რომ გამოდიხარ უკეთესის ძიებაში, მაგრამ იგივეს ან უარესს აღმოაჩენ.

„თბილისი ყველაზე დიდი, მთავარი, ტევადი და მყრალი სტადიონის საპირფარეშოა“- თბილისში კოლორიტის გაცამტვერებაც აქედან იწყება, აქამდე დადებითი ნიშნებით აღჭურვილი კოლორიტი ახლა თითქმის გამქრალია.

აკა მორჩილაძე თბილისზე წერისას განსხვავებულ ვარაუდებს გამოათქმევინებს პერსონაჟებს. თუ გიუშკისთვის თბილისი საპირფარეშოა, ..ქაღალდის ტყვიის“ მწერალი თბილისს აჩრდილების ქალაქს უწოდებს და ამბობს: ,,თბილისი არის ქალაქი, სადაც აჩრდილები ლივლივებენ და გიმტკიცებენ, რომ შენც აჩრდილი ხარ“ [მორჩილაძე, 2011; 5].

აქვე,მისი შეფასებით, „თბილისი კამათლის ქალაქია, სადაც მუდმივად გათამაშებენ“. ეს მუდმივი თამაშის განცდა, ვფიქრობთ, პოსტმოდერნისტი მწერლისათვის არ არის უცხო. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ავტორი ხშირად მკითხველს საკუთარი სიუჟეტით ,,ეთამაშება“, ერევა და სურს თავისი აზრები მოახვიოს.

როდესაც თბილისზე ვსაუბრობთ, ძალიან საინტერესოდ გამოიყურება ავტორისეული ვერსია თბილისის ერთობისა. ეს ამბავი ასე მომხდარა: ერთხელ, ქალაქში, ეშმაკი მოსულა უხილავი ძაფის გორგლით და ადამიანების ერთმანეთისათვის მიბმა დაუწყია. დაძვრებოდა და ადამიანებს ძაფს აბამდა. საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გოგო-ბიჭები, მოხუცები და

ახალგაზრდები ერთმანეთთან დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ესაა ზღაპრულ ფორმაში ახსნილი თბილისური ერთობის გაგების და ძმობის ლეგენდა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაწარმოები საუკეთესოდ წარმოაჩენს თბილისურ კოლორიტს. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისის უბნებად დაყოფას ისტორიული ძირები აქვს. ერთმანეთის გარიყვა, დისკრიმინაციამდე მისული გარეუბნელობა არ ახალია. „მოგონებები ჩემი მეგობარი კაი ბიჭის შესახებ“ ნათლად გვიჩვენებს გაღმა და გამოღმა ბიჭების ცხოვრებას. გარეუბნელი კაი ბიჭები განსხვავდებიან, ელიტარული უბნების მაცხოვრებლებისგან. საერთოდაც, რა არის „კაი ბიჭობა“ და როგორ ესმით ეს თბილისში? პირველი ნიშანი ჩაცმულობაში ისახება-შავი სამოსი. საერთოდაც, აღსანიშნავია ქართველების დიდი სიყვარული ამ ფერის სამოსის მიმართ,რაცყოველთვის თვალში მოსახვედრი იყო. აკურატული და დაკვირვებული კაი ბიჭი მუდამ, სასმლის მიღების დროსაც კი, არ ჰკარგავს სიფრთხილეს. ისინი მუდამ საძმოსთან ერთად არიან და, ამავე დროს, ყველა ცალ-ცალკეა.

როდესაც ბიჭების ერთობასა და თან განცალკევებაზე ვსაუბრობთ, გვახსენდება მგლების ხროვა. არაერთ ქართულ ნაწარმოებში (,,ამოდის ნათდება“, ,,მგელი“) აღწერილია ცხოველების ურთიერთობის სპეციფიური და გამორჩეული ფორმა. თბილისელი ბიჭებიც ხროვაში ერთიანდებიან, არასოდეს ესხმიან მსხვერპლს მარტო, მაგრამ სწორედ მგლებივით შეიძლება ბოლოს ბელადი შეჭამონ.

ფილმების გავლენას ამ დროის ყველა თბილისელი ბიჭი განიცდის. რელიგიაზე წარმოდგენას თუ „იესო ქრისტე სუპერ ვარსკვლავი“ ქმნის, სამართლიანობის და ძმობა-გაგებას სკორსეზეს ფილმებიდან სწავლობენ. ამ დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ ფილმები არაქართულია. ლტოლვა - გაეცალონ ყველაფერს ქართულს, გმირებს მიიყვანს სასაცილო მდგომარეობამდე. წასვლის, გაქცევის მძაფრი სურვილი რეალობის აღქმასაც აქვეითებს. აკა მორჩილაძე შენიშნავს: ,,კინო ღონივრად ზემოქმედებდა მილიონებზე. არა როგორც მხოლოდ სანახაობა, არამედ როგორც ცხოვრება. ძველი კინო, ეტყობა, მართლა დიდ რელიგია იყო“[მორჩილაძე, 2014; 81].

,,მოგზაურობა ყარაბაღში“ განმსჭვალულია მძაფრი პაციფისტური სულისკვეთებით. ეს განცდა ტრადიციული ქართული მწერლობისთვის არ არის უცხო

(გავიხსენოთ გალაკტიონის ციკლი „პაციფისტი“), ,,კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომების საუკუნის მიწურულს, მით უმეტეს, დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, პაციფიზმმა ჩვენშიც დაიმკვიდრა არსებობის უფლება“ [ავალიანი, 2005; 146].

აკა მორჩილაძე, როგორც პოსტმოდერნისტ მწერალს შეეფერება, მძაფრირონიას იყენებს,მაგრამ, როგორც მკვლევარი შენიშნავს; „ირონიას ხშირად ენაცვლება თბილი, კლდიაშვილისეული იუმორი. დავით კლდიაშვილთან ნათესაობის კიდევ ერთი შტრიხი თანალმობის უნარის მკითხველში აღმოცენებაა“ [ავალიანი, 2005; 151]. გიუშკი და გოგლიკო, ცალკე აღებულნი არ იმსახურებენ თანაგრძნობას, ისინი ხომ საკუთარი სიამოვნებისათვის ნარკოტიკზე წასული ბიჭები არიან, მაგრამ ავტორი ახერხებს თანაგრძნობით განგვაწყოს პერსონაჟების მიმართ.

,,მოგზაურობა ყარაბაღში“ ენობრივი მახასიათებლებითაც გამორჩეულია. იგი მთლიანად ჟარგონითაა გამართული: ,,მოყირჭებული მაღალფარდოვნებისაგან თავის დაძვრენა, ენობრივი ნატურალიზმი, მთხრობელის პიროვნული დახასიათების საშუალება, მისი ირონიისა თუ თვითირონიის ხერხია. ქართულ მწერლობაში გვხვდება ნაწილობრივ ჟარგონული გამოთქმებით სავსე მონაკვეთები, მაგრამ მთლიანად ჟარგონით მოთხრობილი რომანი მხოლოდ ,,მოგზაურობა ყარაბაღშია“[ავალიანი, 2005; 153].

თავი III "Obole"

&3.1. ირაკლი-მურების შთამომავალი

აკა მორჩილაძის ,,Obole", განსხვავებით ადრე განხილული რომანებისაგან, სხვა ეპოქასა და დროს მიემართება. ეს რომანი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და კითხვის პროცესში ჩნდება განცდა, რომ მასალა დიდი ხნის ნაგროვები ჰქონია ავტორს. მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ არანაირი მასალა არ შეუგროვებია, საქართველოსგან შორს მყოფს თითქოს ნოსტალგიაც მოსძალებია და ყოველივე, რასაც აღწერს, ნანახ-განცდილი და ერთი დაჯდომით დაწერილია.

ლევან ბერძენიშვილი შენიშნავს: ,,გიო ახვლედიანის შემოქმედებაში, ძალიან მკვეთრად გამოჩნდა, ის, თუ რაზე უნდა ფიქრობდეს საქართველო ზოგადად მხატვრული თვალსაზრისით. ანუ, ერთი მწერალია, რომელიც რაღაცნაირად არის გაიგივებული მთელ ქვეყანასთან"[ბერძენიშვილი, გადაცემა „წიგნები", Obole] ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მართებულია და ამის ნათელი მაგალითია აკა მორჩილაძის განსხვავებული, მაგრამ მაინც ერთი ნიშნით აღბეჭდილი რომანები. თუ მადათოვის ტრილოგია XIX საუკუნის თბილისურკოლორიტსა და ტიპებსხატავს, ,,მოგზაურობა ყარაბაღში" და ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" 90-იანი წლების საქართველოს ასახავს. აკა მორჩილაძე ქართველი მწერალია და, სწორედ ამიტომაც,ბუნებრივიამისი შემოქმედების ჩვენი ქვეყნით დაინტერესება, ეს კი უცხოელი მკითხველისთვისაც მიმზიდველია. ობოლეში გამოკვეთილია არა მხოლოდ ქალაქის, არამედ სოფლის სურათებიც, ეს ყოველივე კი მთელი საქართველოს მოდელს ქმნის. სწორედ ამიტომ, დავინტერესდით ამ ტექსტით- თბილისური კოლორიტის და ტიპების ჩვენების კვალდაკვალ განგვეხილა მთელი საქართველოს სურათიც.

რა არის ,,Obole"? ლევან ბერძენიშვილი ამ წიგნს „საქართველოს პორტრეტს" უწოდებს. სათაური, სავარაუდოდ, ფრანგული ასოებითაა გამოხატული, რადგან

ბოლოში დაწერილი ,,ე“,,ი“-დ უნდა გავიაზროთ, შესაბამისად, ნაწარმოების სათაური გამოდის ობოლი.

მალხაზ ხარბედიას მიაჩნია, რომ ,,ვიღაცამ შეიძლება აკას ნაწერების ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნიოს ეს რომანი, ჩემთვის კი ბევრი რამე გაიხსნა ამ რომანში, კონკრეტულ ავტორთან დაკავშირებითაც და ზოგადად ქართულ პროზასთან მიმართებაშიც“[ხარბედია, რომანი და განმეორებები].

ჩვენ კი, ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ მკვლევარი სწორად მსჯელობს, რადგან განსხვავებით ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი რომანებისა, ,,Obole“- ში ავტორიც სხვანაირია, მას თითქოს დავიწყებია თბილისური ბიჭების სტილი და ჟარგონ-ბარბარიზმებით სავსე ლექსიკა და ახლა უკვე ისტორიკოსი აკა მორჩილაძე მურების შთამომავლის დაკარგული ცხოვრების ამბავს გვიყვება.

რომანში ამბები თავდაპირველად ნელი ტემპით ვითარდება. უცებ კი რაღაცეები ხდება და ყველაფერი იცვლება. მანამდე თუ სიუჟეტი თითქოს ერთმანეთს არ ებმოდა, ავტორი ამბიდან ამბავზე ხტებოდა, ახლა დეტალიზებას შესდგომია.პერსონაჟთა დალეულ თითოეულჭიქას და ნაჭამ ლუკმას განსაკუთრებული ინტერესით აღწერს.

ზოგიერთი მკვლევარი, ამ ნაწარმოებს ეთნოგრაფიულ რომანს უწოდებს; მალხაზ ხარბედია შენიშნავს: ,,Obole“, ქცევების რომანია, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების გაბმული ენციკლოპედია. რომანი კი არა, ჩვეულებებისა და ურთიერთობების მუზეუმია“ [ხარბედია, რომანი და განმეორებები].

თუკი მანამდე ავტორი მხოლოდ ,,თბილისურ ტრადიციებს“ გვიჩვენებდა, აქ კუთხისთვის დამახასიათებელი დეტალები შემოდის თხრობაში. იმერელი კაცის ჩვენთვის უკვე ნაცნობი ხასიათი: სიამაყე, კუდაბზიკობა, მუდამ გულუხვი მასპინძლის როლი. ახლა უკვე თბილისში გადასახლებულმა ირაკლიმ კარგად იცის ჭიშკართან მდგომ კაცს თუ არ გაეპასუხება, იგი სახლში არ შემოვა. მან ეს ჩვევები არც ვაკეში ცხოვრების დროს დაკარგა. აკა მორჩილაძემ ამ ტექსტით კიდევ ერთხელ დაგვანახა ის ტრადიციები რაც მთელს საქართველოს კვებავდა, გამორჩეულად სტუმარ-მასპინძლობა, რომელიც თბილისმა თითქოს დაკარგა. ამას თავისი მიზეზები აქვს-

ქალაქი ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდის, სოფელში კი ღვინის მირთმევა, ხაჭაპურის გამოცხობა, ქათმის დაკვლა ახლაც შეუძლიათ.

ვინ არის ირაკლი? იგი სოფლიდან ქალაქში წასული ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელიც ვაკეში ცხოვრობს და მობილური ტელეფონი არ უყვარს. აკა მორჩილაძის სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, ირაკლი მერე ყალიბდება თბილისურ ტიპად. ,,სოფლური“ ძირები არასოდეს ტოვებს მას.

ვფიქრობთ, თანამედროვე ტექნიკის მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით, ავტორმა პერსონაჟის ერთგვარი პროტესტი გვიჩვენა. გვინდა თუ არ გვინდა, ყველას გვიწევს სიახლეებთან დამეგობრება და ირაკლისაც, რეალურად, აქვს მობილური ტელეფონი, მაგრამ მისი გამოყენების საჭიროებას ვერ ხედავს. მურების შთამომავალი შეგვიძლია უფუნქციოდ მივიჩნიოთ, რადგან, იგი არაფერს აკეთებს. პროტესტიც კი, რომელიც მას აქვს, პასიურია.

სხვა ტიპია ნიკა, ის ამერიკაში ცხოვრობს და ემიგრანტული სევდის გასაქარწყლებლად მშობლიურ მიწაზე ამერიკიდან გამოგზავნილ კოტეჯს დგამს. ვფიქრობთ, ესეც საკმაოდ სიმბოლური ნიშანია, როგორ უკავშირდება ერთმანეთს საქართველო და ამერიკა იქ, ლეჩხუმის ერთ პატარა სოფელში. ის, რომ ძმებმა ვერ შეძლეს მშობლიური, ნგრევის პირას მისული სახლის განადგურება, ალბათ არც ერთ ქართველს არ გაუკვირდება. როგორც ირაკლი შენიშნავს, ,,ქართველი ვარ და ქართველმა თუ წარსულის ამბები არ გადმოალაგა, დღევანდელისას რას ამბობს ვერ გაუგებ“ {მორჩილაძე, 2011; 7].ამ თეზისს ადასტურებს ის მონაკვეთიც, სადაც საუბარია იმაზე, რომმსოფლიოს ქართველების არ ესმის, რადგან შორიდან ვიწყებთ ლაპარაკს. ეს სიშორე ჩვენთვის ორგანულია, მათ ეს არ უყვართ და აბრაზებთ კიდეც.

&3.2 Obole- მადონა-საქართველო

რომანში, აკა მორჩილაძე, ავითარებს მოსაზრებას, რომელზეც თავადაც საუბრობს ნაწარმოებში ,,ჩრდილი გზაზე“: ,,წარსული მარად ცოცხალია საქართველოში.

ჩვეულებრივ, ამბობენ ხოლმე, რომ ის ცოცხალია, როგორც მომავლის იმედი, რადგან საქართველოს ისტორიაში არის დიადი წუთები და გადარჩენილია დიადი ქმნილებებიც, მაგრამ წარსული ცოცხალია არა მხოლოდ როგორც სამომავლო გაბრწყინება, არამედ როგორც ძალიან ხილული და საჭირო ხელსაწყოც. ის ასევე ცოცხალია, როგორც დღევანდელობისთვის აუცილებელი გარემო. ქართველი სამყაროსთან წარსულით ურთიერთობს“[მორჩილაძე, 2014; 70].

ლევან ბერძენიშვილი თვითონ ,,Obole“-საც, ქართველისთვის დამახასიათებლად, შორიდან დაწყებულ ამბად მიიჩნევს, ადარებს მას ჰომეროსის ,,ილიადას“, რომელშიც აქილევსი თავდაპირველად გაკვრით, ბოლოს კი როგორც აფეთქება, ისე ჩნდება. ამ რომანშიც ზუსტად იგივეს ვაწყდებით. ირაკლი, მისი ურთიერთობა ნათესავებთან და ახლობლებთან, დეტალური სმა-ჭამის ამსახველი მონაკვეთები ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს- რომანის ბოლოში გამოჩნდეს მადონა.

არა მხოლოდ წარსულთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, ქართველსა და საქართველოზე ,,Obole“-ში არაერთი თეზისი გვხვდება. ,,ჩვენი საწებელი ჩვენ სისხლზე მაგარია“, ,,სიცოცხლის ერთ წამს ვიქნები ყველაზე ოქრო, მართალი და სასურველი, იმიტომ რომ ქართველი ვარ“, ,,რანაირი სითბოები აქვთ ხოლმე შეზარხოშებულ კაი ხასიათის კაცებს“. ,,მგონი ეს არის ყველაზე ნამდვილი, რაც კაცს შეუძლია ხოლმე მისცეს მეორე კაცს.“ ამ და, არა ერთ ჭეშმარიტად ქართულ საკითხს, აკა მორჩილაძე თავის რომანში ხშირად ეხება. თითქოს ჩვეულებრივ ამბავთა თხრობაში შერეული ზემოთჩამოთვლილი თეზისები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილად ეთნოგრაფიული რომანია და მის მიზანსაც წარმოადგენს არა ავტორისთვის ესოდენ ჩვეული ქალაქის ჩვენება, არამედ სოფლისა.

ავტორი არასოდეს ივიწყებს წარსულს და ამის უფლებას არც საკუთარ გმირებს აძლევს. ამ წარსულთან მუდმივ კავშირს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ციხის ქონგური, რომელიც მურების შთამომავალს აივნიდან ატკბობს. რთულია ვისაუბროთ, არის თუ არა ეს, ახლა უკვე, საქართველოდან წასული ავტორის სევდა, მაგრამ ის, რომ აკა მორჩილაძეს არასოდეს ავიწყდება ქართული ძირების ძიება, თვალსაჩინოა.

სოფელში, სახურავის შესაკეთებლად, ჩასული ირაკლის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. ამ ახალი ეპოქის დასაწყისს კი სახლის ჩამონგრეულ სხვენში ნაპოვნი თოფი-ობოლე წარმოადგენს.სადაფებით გაწყობილი მშვენიერი თოფი ნელ-ნელა ახსენებს მას როგორც წარსულის ამბებს, ისე მომავალზე ფიქრსაც დააწყებინებს. ,,Obole" ქალური თოფია, რომლის ძილის წინ ჩახუტება ისევე სასიამოვნო და სასურველია, როგორც ქალის. თოფი, რომელიც არასდროს არ გაისვრის-ასე ახასიათებს ავტორი იარაღს. აბა, რატომ არის იგი ესოდენ მნიშვნელოვანი? ,,Obole" ძველი სამყაროს ღირსეულ ნაშთს წარმოადგენს.

დანარჩენი პერსონაჟები, რომლებიც სოფლის კოლორიტს ქმნიან, აკაკი ბაქრაძეს თუ დავესესხებით, ცრუ საქმიანობით არიან დაკავებულნი. გაუთავებელი სმა-ჭამა, პანაშვიდებზე სიარული და ერთმანეთის მიპატიჟება, მთელ ამ ჯგუფს უმოქმედობისა და უუნარობის ბადეში ხვევს.

ჩვენ მთავარი პერსონაჟი, ირაკლი, გვაინტერესებს, როგორც სოფლელი დაგათბილისელებული კაცის ტიპი. მას ბიჭს ნამდვილად ვეღარ ვუწოდებთ. თავის თავში ატარებს იმ კლიშესაც, რომელსაც ,,სოფლიდან ჩამოსული" ჰქვია.

ბავშვობის ხანა თბილისური ცხოვრების იმ ეპიზოდს ემთხვევა, როდესაც სწავლა ბიჭებში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და ბირჟაზე ჩავლილს წიგნი უბეში უნდა დაგემალა.

მიგვაჩნია, რომ ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს მე-20 საუკუნის 80-90 -იანი წლების ბიჭების ყოფას. ჩვენ ხომ ამგვარ გმირებს- გიუშკის, გოგლიკოს უკვე ვიცნობთ და ვიცით ,,კაი ბიჭობის" უარყოფითი მხარეებიც.

აკა მორჩილაძე, როგორც ვიცით, ბევრს საუბრობს ქალაქზე და ცოტას სოფელზე, მაგრამ რომანში ,,ქაღალდის ტყვია" , ჩვენი ყურადღება მიიქცია თბილისელი ბიჭის ფრაზამ: ,,თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც სოფელი უნდა გამოიგონო შენთვის"[მორჩილაძე, 2011; 84].

რატომ მივანიჭეთ ამ ფრაზას ესოდენი მნიშვნელობა? ამის ახსნა საკმაოდ მარტივია. თუკი თბილისელი ბიჭების ყოფას დავაკვირდებით, გიუშკის ხასიათი ხომ

სწორედ იქ გაიხსნა და ჩამოყალიბდა, რასაც გმირი მიყრუებულ სოფელს უწოდებს. ის, რომ ქალაქის ხმაური, ქაოსი მუდმივად სიმშვიდისკენ უბიძგებს გმირებს, ვფიქრობთ, არ არის უცნაური. სოფელი ჯერ კიდევXVIIIსაუკუნეში გახდა, ფრანგი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ადგილი, სადაც სულიერი სიმშვიდის პოვნა და ჯანსაღი თაობის აღზრდა შეიძლებოდა.

წარსული ეძახის მთავარ პერსონაჟს და აბრუნებს სოფელში. ეს ძახილი, ერთი მხრივ, სახლის ჩამოქცეული სახურავით, ხოლო მეორე მხრივ, ახლობელთა სიყვარულითაა გამოხატული. გზაში ირაკლი ერთ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს გორის ტრასასთან დაკავშირებით. იგი შენიშნავს, რომ ,,გორის ტრასის გარეშე საქართველო არ არსებობს".მაგრამ იქვე ამბობს, რომ ეს გზა არ უყვარს. მთაგორიანი საქართველოს შვილს მიაჩნია, რომ სწორი გზა მის ქვეყანას არ შეეფერება.

ავტორი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს არა მხოლოდ გზების, არამედ რიკოთის გადასასვლელთან დაკავშირებითაც. რიკოთი, როგორც გარდამავალი საქართველოს სიმბოლო, მკვლევართა მითითებით, გენიალური მიგნებაა. საქართველო მუდამ იყო ორი განსხვავებული დისკურსის გამაერთიანებელი-აღმოსავლეთის და დასავლეთის. თუ აღმოსავლეთიდან დაძრული ირაკლი თავიდან მშვიდად მგზავრობს, რიკოთის უღელტეხილიდან იწყება მისი შფოთვა, მუხლების კანკალი და ერთგვარი შიში.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანებისა თუ გამიჯვნის თემა არახალია ქართულ მწერლობაში. ლევან ბერძენიშვილი წერს: ,,ჩვენი დედაქალაქი არის ყველაზე დასავლური წერტილი საქართველოში, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამავე დრო იგი არის ფიზიკურად აღმოსავლეთში, ამიტომ მას ყავს დასავლური მოადგილე შიგნით- ყავის მსმელი ვაკის სახით"[ბერძენიშვილი, გადაცემა „წიგნები"- Obole] ვფიქრობთ, ეს შეფასება საინტერესოა და ზუსტად შეესაბამება აკა მორჩილაძის ,,გამოსული" ვაკელების ტიპებს, რომელთა სახეები ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობია.

ყავის სმის ისტორიასაც ავტორი ,,Obole"-ში ანეკდოტური ფორმით გვიყვება, აღწერს ერთგვარ ლეგენდას, როგორ გახდა სამარცხვინო ყავის სმა ელიტარული ვაკის სიმბოლო.

ნაწარმოებში შემოყვანილნი არიან სოფლელი ტიპები. ირაკლისთან ერთად ეს პერსონაჟები სოფელს წარმოადგენენ: ბიძაშვილი კოწო, ბაბუცა მამიდა, ვარლამიე, თოფი ,,Obole“ და მადონა.

კოწო გამორჩეული ხასიათისა და ხალისის ტიპია, ბიძაშვილი, ბიძად ერგება ირაკლის, იმდენად უფროსია მასზე. ღიმილისმომგვრელია კოწოს სასიყვარულო ისტორიები და რუსეთიდან ჩამოსული ქალების ამბები.

ბაბუცა მამიდა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ავსებს გმირის სულსა და გულს. სწორედ მამიდას ნახვისას, მისი ჩახუტებისას ფიქრობს ირაკლი, რომ მათთან ჩახუტება იმის განცდას გძენს, რომ რაც ყველაზე კარგი გაქვს ცხოვრებაში, იმას ეხუტები. ბაბუცა მამიდას სახე მკითხველს აუცილებლად გაახსენებს ოთარაანთ ქვრივსა და თავსაფრიანდედაკაცს, მაგრამ განსხვავებასაც იქვე შევნიშნავთ - ბაბუცას შვილი არ ჰყავს და მისი მთელი დედობრივი მზრუნველობა ირაკლის ხვდა წილად.

თონის სურნელებით, დიდი სითბოთი და გემრიელი ხაჭაპურით მუდამ ხელდამშვენებული მამიდა ქმნის სოფლის იმ ხიბლს, რომლის გამოც იფიქრებ, რომ სოფელი,ნამდვილად, სიმშვიდის ნავსაყუდელია. ლია სტურუა ამგვარი ბებიების სუნს ,,ქინძის სუნს“ უწოდებს და სწორედ ეს მიგნება ქმნის განსაკუთრებულად ქართულის და მშობლიურის განცდას.

ადრეც ვახსენეთ, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია სანტა ბარბარაში მცხოვრები ნიკა. იგი ირაკლის ძმაა, წარმატებული მუსიკოსი, რომელმაც ოცნება აიხდინა და კარიერა საზღვარგარეთ აიწყო. ნიკას წარმატებულობის გვერდით, თითქოს ფერმკრთალდება, ირაკლის, როგორც დრამატურგის კარიერა. არადა, არც ეს უკანასკნელია უმნიშვნელო კაცი. მასაც აქვს კონტაქტები ევროპასთან და წარმატებულია თავის საქმეში. ძმებს შორის, ვინ უფრო დაწინაურებულად მიაჩნია სოფელს, ამის გამომხატველია ვარლამიეს ზარი სანტა ბარბარაში და არა თბილისში. ვარლამიემ კარგად იცის, რომ არ შეიძლება დაარღვიოს იერარქია-ჯერ ლოს-ანჟელესია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იყოს თბილისი.

როგორც ვიცით, ნაწარმოების პერსონაჟი შეილება იყოს არა მარტო ადამიანი, არამედ ცხოველი, ფრინველი, მცენარე, ფანტასტიკური არსება და სხვა, რომელიც ან

ჩართულია მოქმედებაში, ან მხოლოდ ეპიზოდური დატვირთვა აქვს. ამ რომანის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, მალხაზ ხარბედია „ქალივით თოფ ობოლეს“ მიიჩნევს. ჩვენც ვეთანხმებით ამ მოსაზრებას,რადგან ირაკლის მთავარიმეგობარი, სწორედ ეს თოფია. ჯერ კიდევ ბავშვობაში დაწყებული სატრფიალო ისტორია არ განელებულა. ,,Obole“ თოფია, რომელსაც იმდენი ხანია არ გაუსვრია, რომ თოფადაც აღარავინ მიიჩნევს. მრავალჭირნახული, მრავალ უბედურებაგამოვლილი თოფის სახეში, ვფიქრობთ, ავტორი საქართველოსაც მოაიზრებს - თვლებით შემკულ,ლამაზ ნივთს, რომელიც ახლა წარსული ლანდია და რომელსაც აღარც ძალა გააჩნია და აღარც უნარი,საკუთარ თავს დაუბრუნდეს.

ორი ქალი, თოფი და მადონა, ამ რომანის სიუჟეტს კრავს. ავტორი შემთხვევთ არ ,,გახდის“ მადონას უკბილოს, ეს უკბილობა იგივეა, რაც თოფი, რომელიც აღარასდროს გაისვრის. თუ თოფი საქართველოა, თოფისა და მადონას იგივეობა ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანს - მადონე საქართველოა. ამ პერსონაჟის სახელიც ღვთისმშობელთანაა დაკავშირებული და მის შერჩევასაც მკვლევარები ავტორის კიდევ ერთ მინიშნებად მიიჩნევენ. სახელი მადონა ღვთისმშობლის წილხვედრობის გამომხატველია.

მადონა, როგორც ავტორი შენიშნავს, თავის თავში ორ ლეგენდარულ ამბავს აერთიანებს. ქალი ყოფილა მხედრიონის უფროსი ,,სახალხო სროულობის“ დროს, ასევე, თბილისში ხმები დადიოდა კანონიერი ქურდი ქალის შესახებ. ეს ორი განსხვავებული ამბავი ავტორმა საქართველოს ისტორიასთან გააერთიანა და მიიღო მებრძოლი ქალი - მადონა. მან თავის თავში უნდა ასახოს თბილისელი ,,კაი ბიჭის“ ნიშნები, მხედრიონელი პატრიოტის სურვილები და ჩვენი ქვეყნის ბედი. ეს სახელი ევროპულია და, იმ დროის ლეჩხუმ-იმერეთისთვის ნამდვილად გამორჩეული იქნებოდა. აქ კიდევ ერთხელ ჩანს ავტორის ნიჭიერება, მან ისე წარმოგვიდგინა პერსონაჟი, რომ ინსპირაციის წყაროს ძიება რთული არაა არცერთი ქართველისთვის.

აკა მორჩილაძე,საკუთარ ნაწარმოებებში,არ გამოირჩევა ქალთა სახეების მრავალფეროვნებით. რომანი ,,Obole“ გამონაკლისია ამ მხრივ, რადგან მადონას სრულიად განსხვავებულ სახეს გვიჩვენებს. ამ პერსონაჟმა თავის თავში გააერთიანა რეციდივისტი, რევოლუციონერი, მზრუნველი შვილისა და მკვლელის სახეები. აქვე

უნდა აღვნიშნოთ, რომ აკა მორჩილაძე არასოდეს ივიწყებს საკუთარი გმირების ყოფით ელემენტებს და ის, რომ რომანში ნარკოტიკული საშუალებები არაერთგზისაა მოხსენიებული და გამოყენებული,იმას ადასტურებს, რომ არა მხოლოდ გოგლიკოს, აჩიკო ყიფიანისა და სხვა მრავალი თბილისელი ბიჭის ცხოვრებაში, არამედ ,,სოფლელი" მადონას ყოფაშიც, მსუბუქ თუ ძლიერ, ნარკოტიკულ საშუალებებს თავისი ადგილი უკავია: ,,მოსაწევი, პლანი, მარიხუანა - საერთოდ, ნარკოტიკი ფრიად მნიშვნელოვანი რამ გახლავთ აკა მორჩილაძის პერსონაჟებისთვის. მისი ჯერ კიდევ პირველი პერსონაჟი ახალ ნაპუტჩევს სწორედ წამლის საშოვნელად წავიდა მეზობელ აზერბაიჯანში და ყარაბაღში მოგზაურობა კი გამოუვიდა. მის პერსონაჟებს უჭირთ დაარღვიონ საზღვრები მოსაწევის, შესაყნოსისა თუ გასაკეთებლის გარეშე. ბარემ აქვე დავაზუსტოთ, რომ ეს ეხება თბილისელ და არა ტფილისელ(თუ თფილელ) პერსონაჟებს" [პაიჭაძე, დაბოლილი ცნობიერების ნაკადი] . როდესაც მკვლევარი ერთმანეთისაგან მიჯნავს აკა მორჩილაძის თბილისელ და ტფილისელ პერსონაჟებს, ჩვენთვის კიდევ ერთხელ ნათელი ხდება ეპოქის სხვაობა, რომელსაც ავტორი გამოხატავს ტფილისის გადაქცევასთბილისად. თუ ტფილისში ხაფო, ყორღანოვი და ბაიარდი, ილიკო იმერლიშვილი და სხვანი არსებობენ, თბილისში უკვე გიუშკის, გოგლიკოს აჩიკოს, ზაზას, პეტრუჩიოს და კაკუჩას ვხვდებით.

მადონა ისევეა ეპოქის მსხვერპლი, როგორც დანარჩენები:,,არეული 90-იანი წლებიდან ყველა ისე გამოძვრა, როგორც შეძლო" [ბერძენიშვილი, გადაცემა „წიგნები"- Obole].მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ ეპოქის გამოსახატავად იყენებს ავტორი ნარკოტიკს, არამედ მისი დახმარებით შლის ზღვარს რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის. ჩვენთვის ბოლომდე ბუნდოვანი რჩება მადონა ირაკლიმ სიზმარში იხილა თუ რეალურად.

რომანის გადამწყვეტ დიალოგს (რომელიც სიზმრისეულია), კიდევ ერთი მიზანი აკისრია - მძევლად აყვანა, დაგეგმილი სპეცოპერაცია, ეს ეპიზოდი ისევე, როგორც სანტა ბარბარა, რომანში ამერიკული სულის მატარებელია.

აკა მორჩილაძის პერსონაჟების მუდმივი ლტოლვა - გაექცნენ სამშობლოსაც და საკუთარ თავსაც, არც ამ ნაწარმოებისთვისაა უცხო.

„Obole“ ენობრივი მახასიათებლებით გამორჩეული რომანია, რადგან მასში დიალექტიზმები მძლავრად იჩენს თავს. ლიტერატურული ნაწარმოები გამართული ენობრივი ფორმებით უნდა იწერებოდეს.დიალექტიზმები ქართულ ლიტერატურაში გამოიყენება კუთხის გამოსახატად, იგი ტრადიციულია ჩვენი მწერლობისთვის. რომანში ავტორმა ეს ბარიერი, მკვლევართა შეფასებით, ბრწყინვალედ გადაჭრა: „საავტორო რემარკა, ხანდახან, დიალექტითაა სავსე. მხატვრულად სწორი, თანაც ავტორი არ დისტანცირდება გმირებისგან“ [ბერძენიშვილი, გადაცემა „წიგნები“-Obole].

რომანის კითხვისას არ გვტოვებს განცდა - საქართველო მართლა მარტოა? მკვლევარი ლევან ბერძენიშვილი აკა მორჩილაძის რომანს ერთ საინტერესო დოკუმენტურ ფილმთან აკავშირებს. ეს არის ოთარ იოსელიანის ფილმი „საქართველო მარტო“. მისივე შეფასებით - ფილმი „საქართველო მარტო“ და „Obole“ არიან ხელოვნების ობოლი ძმები. ხსნის გზა იარსებებს სანამ, „ჭურიდან ამოვარდება საქართველო და ბაბუცას ხაჭაპურები სანამ არსებობს“. ყველამ ვიცით, რომ ღვინო საქართველოს სიმბოლოა, ამიტომაცაა, რომ პერსონაჟები, ქვევრისთვის თავის მოხდის დროს, სასმელს კი არა, იქიდან „ამოვარდნილ“ საქართველოს ელოდებიან.

„Obole“ ტრაგიკული რომანია, რომელიც ვერ გვთავაზობს თოფის - მადონას- საქართველოს ხსნის გზას, თუმცა სიზმრისეულ ხილვაში თითქოს კრთება მადონეს გადარჩენის შანსი. სათაურიდან გამომდინარე, უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანის დასახელებად შეიძლება განვიხილოთ „ობოლი“. სწორედ ამიტომ, აკა მორჩილაძე, ხორციელ მადონასაც აობლებს - იგი ჯერ კარგავს დედას, შემდეგ - მამას. მკითხველს რჩება კითხვის ნიშნები - ნუთუ მადონე მართლაც ასეთი „გათახსირებული ქალია“, რომ მამის დაკრძალვაზეც არ ჩამოდის? აქაც ავტორი დაუსრულებელ სიუჟეტსა და გაურკვეველ ფინალს გვთავაზობს და, ახლა უკვე, მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს მართლაც ობოლი და მარტოა თუ არა საქართველო.

„Obole“-ში მწერალმა სხვა ნაწარმოებებთან შედარებით განსხვავებული ტიპი დახატა. ის თბილისელია და არცაა თბილისელი, სოფლიდანაა ჩამოსული და ვაკეში დასახლებულია, ირაკლი თავის თავში ყველა იმ შტრიხს ატარებს, რაც ნამდვილ ვაკელს და ნამდვილ იმერელს უნდა გააჩნდეს. ეს პერსონაჟი თავის ირგვლივ არსებული

მოვლენებისა თუ ადამიანების სუბიექტურ აღქმას გვთავაზობს. ასევე, ქართველობის შესახებაც ბევრს მიგვანიშნებს, ძირითად შტრიხებს გამოყოფს. ირაკლი არის ობოლი თოფის და აწ უკვე დაობლებული მადონიეს ერთადერთი მეგობარი და დასაყრდენი.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის ოთხი რომანი. ჩვენეს რომანები გვაინტერესებს ერთი ძირითადი კუთხით - როგორია თბილისელი ბიჭის ტიპი და რა ქმნის თბილისურ კოლორიტს. მწერლის შემოქმედების კვლევა ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი და შემდგომიდასკვნები ამ ავტორის შესახებ მომავლის საქმეა.

ნაშრომში შევეცადეთ მწერლის შემოქმედებაში გვეპოვა თბილისელი ტიპი და შეგვექმნა ერთგვარი წარმოდგენა, როგორია იგი. აკა მორჩილაძის თბილისელი ბიჭები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მათი ვერშემდგარი კაცობა, გაქცევის სურვილი და ყველასა და ყველაფრის მიმართ გამოხატული მკვეთრი აგრესია, ავტორიტეტების რღვევა (დაპირისპირება მამებსა და შვილებს შორის) ქმნის არა მხოლოდ 90-იანი წლების თაობას, არამედ აქტუალურია დღესაც.

ასევე, შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ავტორის მიკუთვნება ერთ კონკრეტულ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან - პოსტმოდერნიზმთან და რა ელემენტებს მოიცავს მისი რომანები პოსტმოდერნიზმის ესთეტიკასთან მიმართებაში.

ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ აკა მორჩილაძის შემოქმედება, კონკრეტულად კი ეს ოთხი რომანი (პარალელებთან ერთად), ერთი დიდი მთლიანობაა და ძირითადი მათში სწორედ თბილისელი ტიპის დახატვა და თბილისური კოლორიტის შექმნაა.

ჩვენს მიერ განხილულ საკითხებზე შესაძლებელია კიდევ უფრო ღრმა და საფუძვლიანი კვლევა, მაგრამ ეს ყველაფერი სცდება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებს.

ნაშრომი წარმოადგენს 59 გვერდს, შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის და დასკვნისგან. შესავალ ნაწილში მოცემულია პრობლემის აქტუალობა, მიზანი, მეცნიერული სიახლე, კვლევის წყაროები, ამოცანები.

პირველ თავში განხილულია აკა მორჩილაძის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ,,მადათოვი“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. მასში ჩვენ ვხვდებით XIX-XX საუკუნის საქართველოს ფონზე გაშლილ თბილისს, თავისი კოლორიტით და თბილისელი ტიპებით. ტრილოგია პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ელემენტებს ატარებს.

მეორე თავში განხილულია ორი რომანი- ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „მოგზაურობა ყარაბაღში“. აქ არის ცდა, ვიპოვოთ 90-იანი წლების თბილისელი ბიჭისთვის დამახასიათებელი თვისებები;ჩაბნელებული თბილისის ქაოსური ყოფის ფონზე, რამდენიმე ძირითად პერსონაჟს ვიხილავთ და ვცდილობთ მათი ხასიათის ამოცნობას.

რომანში- ,,მოგზაურობა ყარაბაღში“, ჩვენთვის ნაცნობი, ტიპიური თბილისელი ბიჭები გვხვდებიან. ვეცნობით ავტორიტეტების რღვევის ეტაპსაც. ამავე დროს, წამყვან ხაზს სიყვარულისა და მეგობრობის უკვდავი თემები წარმოადგენენ. რომანის პერსონაჟები არა მხოლოდ თბილისის, არამედ იმ დროის არეული საქართველოს სახეს წარმოადგენენ. ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია.

მესამე თავში განხილული რომანი ,,Obole“,რომელშიც მოცეულია სხვა რომანებისგან, განსხვავებული და გამორჩეული ტიპი ირაკლი.“Obole” სიმბოლურად გვიჩვენებს საქართველოს ბედს, სადაც მთავარი პერსონაჟს მიერ სამი რამაა გაიგივებული ერთმანეთთან: თოფი-მადონა-საქართველო.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ აკა მორჩილაძის რომანების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან იგი უდიდეს მასალას იძლევა ლიტერატურის მკვლევართათვის. მიუხედავად იმისა, რომ მკვლვრების მიერ განხილულია სხვადასხვა საკითხი, ჩვენთვის საინტერესო თემაზე ამომწურავი და სრულყოფილი ნაშრომი ჯერ არ შექმნილა.

მწერალი აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას, ხელმისაწვდომი ხდება ახალი მასალები; სამომავლოდ, შევეცდებით ჩვენი მსჯელობა ამ კუთხით გაგრძელდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. ავალიანი ლ.- ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე, თბილისი, ,,თეთრი გიორგი“, 2005წ.124-155გვ.
2. ბერჯერსი ე.-მექანიკური ფორთოხალი, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2014წ. 207გვ.
3. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ.- ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, „ მერიდიანი“, 2011წ. 258 – 271 გვ.
4. ზედანია გ.- აკა მორჩილაძის ფანტაზმური პროზა, გაზეთი ,,წიგნები“, 2004წ. N11, 3-4 გვ.
5. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, თბილისი, გამომცემლობაGCLAPress, 2012წ. Gv.113, 114, 115.
6. მორჩილაძე ა., მადათოვი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009,503გვ.
7. მორჩილაძე ა., მოგონებებიჩემიმეგობარიკაიბიჭისშესახებ, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011, 110 გვ.
8. მორჩილაძე ა., მოგზაურობა ყარაბაღში, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004, 167 გვ.
9. მორჩილაძე ა., Obole, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011, 259 გვ.
10. მორჩილაძე ა., ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017 ,157 გვ.
11. მორჩილაძე ა., ქაღალდის ტყვია, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011, 103 გვ.
12. მორჩილაძე ა., ჩრდილი გზაზე, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, 70,81,96,103 გვ.
13. მორჩილაძე ა., ძირს სიმინდის რესპუბლიკა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003, 8გვ.
14. პაიჭაძე თ., მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
15. ტურაშვილი დ.,ჯინსების თაობა, თბილისი,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008, 122 გვერდი.
16. წიფურიაბ.ქართულიტექსტისაბჭოთა/პოსტსაბჭოთაპოსტმოდერნულკონტექსტში, თბილისი,ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისგამომცემლობა, 2016,

ინტერნეტ-რესურსი:

17. ბიოგრაფია-აკა მორჩილაძე <https://burusi.wordpress.com/2010/06/07/aka-morchiladze-7/> [23.07.2020]
18. ბერძენიშვილი ლ., გადაცემა „წიგნები“ობოლე, აკა მორჩილაძე<https://www.youtube.com/watch?v=hR7IkvE0kDA>[20.07.2020]
19. დეკანოსიძე ნ., აკა მორჩილაძის მოგზაურობა კინოში <http://www.tafu.edu.ge/kinolumiere/kinoLUMIERE/ND.htm>[20.07.2020]
20. იმნაიშვილი ა., XX საუკუნის 90-იანიწლებისპოსტსაბჭოთათაობისქართულიპროზისპოსტმოდერნისტულიტენდენციები<https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/15/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-_-xx-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C/> [20.07.2020]
21. პაიჭაძე დ., დაბოლილი ცნობიერების ნაკადი <http://arilimag.ge/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%99/> [23.07.2020]
22. ხარბედიამ. აკა მორჩილაძის Obole<https://www.radiotavisupleba.ge/a/24534223.html> [20.07.2020წ.]
23. ხარბედია მ., „მადათოვისტრილოგია" ერთწიგნად<https://www.radiotavisupleba.ge/a/2140491.html> [20.07.2020]
24. ხარბედია მ., რომანი და განმეორებები <http://arilimag.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93/> [20.07.2020]
25. ხარშილაძე ი., ვფიქრობ, ყველაზესრულყოფილადაკამორჩილაძისპროზასკინოსპექტაკლიმოიხდენს<https://www.ambebi.ge/article/22418-vpikrob-qvelaze-srulqopilad-aka-morchilazis-prozas-kinospektakli-moixdens/> [20.07.2020]
26. ჯელაძელ.,ჩემსსათაურებსმორგებულიაკამორჩილაძისპასუხები<http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=94> [20.07.2020]